ეროვნული ბიბლიოთეკა

# პიონერი

7



1930

სახელგამი

ხეებს რგავენ ლენრაიონის მოედანზე

# ვიბრძოლოთ რელიგიური ფანატიზმის წინააღმდეგ

„ჩვენ ვაწარმოებთ ბრძოლას სამღვდელოების ანტისაბჭოთა კამპანიის წინააღმდეგ, რომელსაც სათავეში უდგას რომის პაპა, ხუთწლიანი სააღმშენებლო გეგმის ოთხ წელში შესრულებისათვის, სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის, საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულებისათვის, საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებისათვის, სოციალისტური ყოფაცხოვრების ჩამოყალიბებისა და მებრძოლ უღმერთოთა კავშირის მასიურ მებრძოლ ორგანიზაციად გადაქცევის ლოზუნგის ქვეშ“ —ნათქვამია საქართველოს ლ. კ. კ. ცეკას დადგენილებაში და მისი განხორციელებისათვის საჭიროა კომკავშირისა და პიონერორგანიზაციების მუშაობა ადგილებზე იმ მხრივ წარიმართოს, რომ ბრძოლა და შეტევები რელიგიის წინააღმდეგ ხდებოდეს, როგორც ეს ნათქვამია ცეკას დადგენილებაში, „მხოლოდ და მხოლოდ აგიტაციის მეთოდებით“, მეცნიერული მსჯელობის საფუძვლებზე და არა ე. წ. „მემარცხენე“ შეტევებით, როგორიცაა: მორწმუნეთა მიმართ ადმინისტრატიული წესების გამოყენება, იძულებით ეკლესიების გამოკეტვა, ზარების ჩამოხსნა და ყველა ის წინად დაშვებული შეცდომები, რომლების განმეორების შესახებ ცეკა იძლევა წინასწარ გაფთხილებას, რომ „დამნაშავენი ანტირელიგიური მუშაობის დამახინჯებაში უნდა მიეცენ სასტიკ პასუხისგებაში“ და სხვა.

მართლაც და რა სისულელე იქნებოდა დღევანდელ პირობებში რაღაც სტიქიური მეთოდებით გალაშქრება სარწმუნოების წინააღმდეგ, მაშინ, როცა ყველა მივარდნილ სოფელშიც კი მოიპოვებიან ისეთი ძალები, რომელთაც შეუძლიათ მუშებსა და გლეხებში, განსაკუთრებით გლეხობაში, ჩაატარონ პოპულარულ-მეცნიერული საუბრები სარწმუნოებისა, ქრისტესა და ქრისტიანობის წარმოშობის შესახებ.

ცნობილია, რომ „ათი მცნების“ მეექვსე მუხლი მისი ყალბი შედგენილობის პირველ რედაქციაში იკითხებოდა: „არა კაც ჰკლა!“, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა საქმე მიდგა პოლიტიკურ დამნაშავეთა, თუ საერთოდ დამნაშავეთა სიკვდილით დასჯაზე, ომების დაწყებაზე, რაც უამრავ მსხვერპლს ითხოვდა კაცობრიობისგან, სარწმუნოების მამამთავრებმა, სამღვდელოებმა, სახელმწიფოს მმართველი მეფეებისა თუ იმპერტორების მოთხოვნით, „ათი მცნების“ მეექვსე მუხლს გაუკეთეს ასეთი შენიშვნა: „მხოლოდ ორი შემთხვევა ადამიანის სიკვდილით დასჯისა არ არის კანონით აკრძალული: 1. მსჯავრდადებულის სიკვდილით დასჯა და 2. ომში სიკვდილი, ე. ი. ადამიანის სიკვდილი საერთოდ ქრისტიანული სარწმუნოების მიერ აკრძალულია, მაგრამ თუ ამას მოითხოვს სახელმწიფო ინტერესები, შესაძლებელია გამონაკლისიც, ანუ შესაძლებელია ადამიანმა ჩაიდინოს მკვლელობა, მაგრამ არ „წაწყმდეს“, რადგან ეს მკვლელობა „შეთანხმებულია“ „საღვთო სამსჯავროსთან“ მართლმადიდებელი ეკლესიის მეშვეობით. და სხვა.

ერთი სიტყვით, არის მრავალგვარი საშვალება რელიგიის სიყალბისა და მავნებლობის წინაღმდეგ აგიტაციისათვის, რომლის ნიშან ქვეშ უნდა ჩატარებულ იქნას ადგილებზე „სააღდგომო“ ანტირელიგიური პროპაგანდა-აგიტაცია, უნდა მოეწყოს საუბრები, ლექციები, წარმოდგენა-საღამოები და სხვა.

უნდა დარწმუნდენ მორწმუნეები, რომ:

ქრისტე სამღვდელოების მიერ მოგონილი ცრუ არსებაა.

ქრისტე, როგორც ადამიანი, არასოდეს არ არსებობდა.

ქრისტე, როგორც ღმერთი, და საერთოდ ყველა ჯურის და დროის ღმერთები, თვით ხალხის მიერ იქნენ გაღმერთებულნი.

ვიბრძოლოთ სარწმუნოების, როგორც ადამიანის გონების დამჩლუნგებელის, წინააღმდეგ.

ვიბრძოლოთ და დავარწმუნოთ მოსახლეობის ასი პროცენტი, რომ რელიგია არის ბანგი მორწმუნეთა გასაბრუებლად და დასაბეჩავებლად გამოგონილი, რომ რელიგია არის კლასიური ბრძოლის იარაღი, გამოგონილი ჯერ კიდევ ფეოდალურ ეპოქებში და „განვითარებული“ ბურჟუაზიულ ქვეყანათა სამყაროში.

## შ ი ნ ა ა რ ს ი:


გვ.
1. 14 მილიონი გლეხური კომლი კოლექტივიზაციაქმნილია . . . . . . . . . . . . . . . . 1.
2. ვიბრძოლოთ . . . . . . . . . . . . . . . 2.
3. ტრაქტორებს,—ლექსი **პ. აბრამიასი** . . . . . 5.
4. ოთარი,—მოთხრობა **პ. სამსონიძის** . . . . . 6.
5. გაზეთი „ჩვენი ცოცხალი საქმეები“ . . . . . 8.
6. როგორ მოვექცეთ კულაკების ბავშებს, — **ნ. კრუპსკაიასი** . . . . . . . . . . . . . 10.
7. კოლექტივი სამუშაოზე, — ლექსი **შ. შაველაშვილის** . . . . . . . . . . . . . . . 11.
8. ვიბრძოლოთ საწარმოო გეგმის შესრულებისათვის,—**ალ. კოჩლავაშვილის** . . . . . . . . 12.

გვ.
9. ყოველი პიონერი მზად უნდა იყოს,—**გ. კრასნოშჩეკოვი** . . . . . . . . . . . . . . . . . 12.
10. ახსენი და განმარტე პარტიის პოლიტიკა სოფლად 16.
11. ტაიგელი —მოთხრობა (გაგრძელება) **მ. კეჩხუაშვილის** . . . . . . . . . . . . . . . . . 16.
12. ვიბრძოლოთ რელიგიური ფანატიზმის წინააღმდეგ,—**პ. ჩხიკვაძის**—გარეკანის მე-2 გვერდზე
13. კოლმეურნეობაში ნებაყოფლობით შედიან — გარეკანის მე-3 გვერდზე . . . . . . . . .
14. ყველა პიონერი თესვაზე, — რადიოსი — გარეკანის მე-4 გვერდზე . . . . . . . . . . .

მუშათა კლასის საქმისათვის იყავ მზად!

ჯ-47.

15 აპრილი
№ 7
წელიწადი მეხუთე
1930

# პიონერი

საქართველოს ბ. კ. ღ. ცენტრალური და ტფილისის ბიუროების და განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის ჟურნალი ბავშებისათვის

## 14 მილიონი გლეხური კომლი კოლექტივიზაციაქმნილია
## მთელი ძალ-ღონე—არტელების განმტკიცებისათვის
## შევაკავშიროთ პიონერული რიგები კოლმეურნეობებში
## ბრძოლა კულაკთან ჯერ არ გათავებულა

ყოველთვის, როდესაც ქვეყნის ცხოვრებაში წარმოებს რაიმე ძვრები, ცვლილებები, იცვლება ჩვენი მუშაობაც. ჩვენს წინ წამოიჭრებიან ხოლმე ახალი საკითხები, რომელნიც მოითხოვენ გადაჭრას.

როგორი ცვლილებები მოხდა ჩვენს ქვეყანაში? აი როგორი: კოლექტივიზაციაქმნილია მთელს საბჭოთა კავშირში გლეხთა ოჯახების 55%. იშლება მიჯნები 14 მილიონ ცალკეულ მეურნეობას შორის; 38 მ ლიონი ჰექტარი მიწა წარმოადგენს მთლიან მასივს, რომელიც დამუშავდება რამდენიმე ათეული მილიონი ადამიანის კოლექტიური შრომით, კოლექტივიზაცია—ეს ჯერ კიდევ კომუნიზმი არაა. კომუნიზმს ჩვენ მივაღწევთ მაშინ, როდესაც საბოლოოდ მოვსპობთ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის ყოველგვარ შესაძლებლობას, როდესაც ტექნიკა, როგორც ქალაქად, ისე სოფლად, ჩვენში იმდენად იქნება განვითარებული და მაღალი, რომ მოსპობს პრიმიტიული შრომის ყოველგვარ სიმძიმეს, წაშლის ყოველგვარ განსხვავებას ქალაქსა და სოფელს შორის, ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის.

### არტელი—კომუნა არაა.

წარმოების მთავარი იარაღების და საშუალებების გაერთიანება და შრომის განსაზოგადოება—პირველი ნაბიჯია, რომელსაც ჯერჯერობით დგამს სოფელი.

წვრილმესაკუთრეობრივ ჩვეულებებზე არ შეიძლება გადახტომა. კოლექტივიზმის ძალით თავზე მოხვევა შეუძლებელია.

მშრომელი გლეხობა თავისი საკუთარი გამოცდილებით სწავლობს და რწმუნდება ბოლშევიკური პარტიის მიერ მითითებული გზის სისწორეში.

თუ დღემდე ჩვენი ამოცანა უმთავრესად იმაში მდგომარეობდა, რომ აგიტაცია გვეწარმოებინა შრომის კოლექტიური ფორმებისათვის, დღეს ჩვენი მთავარი ვალდებულებაა საქმით ვაჩვენოთ მათი უპირატესობა, მედგრად ვიბრძოლოთ ყველა მათ წინააღმდეგ, ვინც ამას აფერხებს და ენერგიის დაუზოგავად ვიმუშაოთ კოლექტიური ცხოვრების უფრო მაღალი ფორმების, როგორც კოლექტიური შრომის ისე კოლექტიური ყოფის ახსნა-განმარტებისა და ჩვენებისათვის.

ვისთან და რით უნდა ვიბრძოლოთ კოლექტიური შრომის ჩაშლის წინააღმდეგ?

### მტრული გავლენები

არტელი არ იმყოფება უჰაერო სივრცეში. მის გარშემო კიდევ დარჩენ კაპიტალისტური ელემენტები. მართალია, ისინი განკულაკებული არიან, მაგრამ ისინი არ დაყრიან იარაღს კოლმეურნეობებთან ბრძოლაში, შეეცდებიან გამოიყენონ კოლმეურნეობის ყოველგვარი შეცდომა და დაბრკოლება იმისათვის, რომ ხელი შეუშალონ კოლექტივიზაციას. ამ კულაკურ ელემენტებს ეხმარება სამღვდელოება, რომელიც ამრავლებს კონტრრევოლუციის ძალებს. კოლმეურნეობაზე გავლენას მოახდენს აგრეთვე კოლექტივიზაციისადმი ეჭვით შემყურე მეურნეობანი, აგრეთვე ის მეურნეობანი, რომელნიც ელიან—აბა, ვნახოთ, ცხოვრება რას გვიჩვენებსო. ასეთი მეურნეობანი საბჭოთა კავშირში ცოტა როდია, 45 პროცენტია. გარდა ამ გარეშე მტრული გავლენებისა, კოლმეურნეობას მოუხდება ბრძოლა თავის იმ მერყევ წევრებთან, რომელნიც ჯერ კიდევ არ გამოთხოვებიან თავის კერძოსაკუთრებით შეხედულებებს და ჩვევებს. თუ კოლმეურნეობათა მთავარი ამოცანაა—პროდუქტები ექნეს არა მარტო თავისი წევრებისათვის, არამედ სახელმწიფოს გეგმიანი მომარაგებისათვისაც მაშინ კოლმეურნეობათა მერყევი წევრები, რომელნიც კულაკური გავლენის ქვეშ ვარდებიან, შეეცდებიან კოლმეურნეობებს ჩააგონონ: მხოლოდ თქვენ თავს უნდა ემსახუროთ, მხოლოდ თვითონ თქვენთვის უნდა იშრომოთ.

კულაკური ელემენტები ამას გამოიყენებენ და შეეცდებიან კოლმეურნეობა დაუპირისპირონ ქალაქის პროლეტარულ ხელმძღვანელობას, რომელიც გეზს აძლევს სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის მთელ პროცესს.

კერძო მესაკუთრე შეეჩვია ისე მოექცეს თავის მიწის ნაკვეთს და თავის მეურნეობას, როგორც მოესურვება. კოლმეურნეობაში ის იძულებული იქნება დაექვემდებაროს მსხვილი მეურნეობის მტკიცე დისციპლინას. მუშაობის ძველ ფორმებს და ძველ ჩვევებს უნდა გამოეთხოვოს. ჩამორჩენილი ელემენტები უბრძოლველად არ დასთმობენ თავის ჩვევებს.

განასაზოგადოებს რა თავის შრომას, კოლმეურნე რჩება კიდევ კერძო მესაკუთრედ თავისი სახლის, თავისი ბოსტნის, თავისი ღორების, თავისი ძროხის და სხვა. მისი სამეურნეო ბიუჯეტი დგება არა მარტო კოლმეურნეობის ანარიცხიდან, არამედ პირადი ხელფასისაგანაც (სარეწაოებზე მუშაობა) და თავისი ოჯახური შრომის პროდუქტების გაყიდვისაგან. კოლმეურნის ინდივიდუალური მეურნეობა, თუნდაც მცირე სახით, მაინც ცოცხლობს სწორედ აქედან დაიწყებს დენას კოლმეურნეობაში კერძოსაკუთრებითი განწყობილებები.

კოლმეურნეობაში შევიდენ ნაირ-ნაირი ქონებრივი სიძლიერის მეურნეობანი. შევიდენ ღარიბები, საშუალო გლეხები და მოჯამაგირენი, რომელთაც არა აქვთ არავითარი ქონება. ამ საფუძველზე შეიძლება მოხდეს სხვადასხვა კონფლიქტი. ჩვენი კლასიური მტრები შეეცდებიან ესეც გამოიყენონ კოლმეურნეობების დასაშლელად.

### ჩვენი ამოცანები

ჩვენ იმით კი არ უნდა დავკმაყოფილდეთ, რომ მოლიმარებმა ვუყუროთ არტელებს,—მთელი ძალები უნდა მოვახმაროთ იმას, რომ კერძოსაკუთრებითი განწყობილების წინააღმდეგ კოლმეურნეობებში და გარეშე მტრულ გავლენებთან ბრძოლაში განვამტკიცოთ არტელი, კოლექტიური შრომის უფრო მაღალი და პროდუქტიული ფორმებისაკენ წავიყვანოთ ის, ვუჩვენოთ მაგალითებზე კოლექტიური სისტემის უპირატესობა ინდივიდუალურთან შედარებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვიბრძოლოთ

სოციალისტური შეჯიბრების ჩატარებისათვის კოლმეურნეთა შორის. მოვახდინოთ გავლენა ინდივიდუალურ მეურნეობაზე, რომელიც არ შესულა კოლმეურნეობაში.

ვიბრძოლოთ მოჯამაგირეთა და ღარიბესთა კავშირის გამაგრებისათვის კოლმეურნეობაში, შეგნებულ დედაკოლმეურნისათვის, საყოველთაო სწავლის შემოსაღებად, ახალი პოლიტექნიკური სკოლისათვის, სადაც ბავშთა შრომა გაერთიანებულია სწავლებასთან, ბავშთა შრომის ექსპლოატაციის წინააღმდეგ, საბავშო კლუბების, მოედნების, საზოგადო კვების, ტექნიკურ, სასოფლო-სამეურნეო და სასპორტო სადგურებისათვის.

ჩავაბათ კოლმეურნეობის ყველა ბავში პიონერთა რაზმში.

ვიბრძოლოთ ბავშთა კომუნისტური მტკიცე ორგანიზაციისათვის კოლმეურნეობაში.

**საკოლმეურნეო რაზმის უახლოესი დროის მუშაობის სანიმუშო გეგმა სოციალისტური შეჯიბრებისათვის.**

არტელის სიმაგრე-სიძლიერე შრომის სისწორით ჩამოყალიბებაზეა დამოკიდებული. როდესაც ქარხანაში მუშები გულგრილად ეკიდებიან თავის მოვალეობას, ამით ირღვევა მთელი საწარმოო გეგმა.

ქალაქის პიონერები ებრძვიან ასეთ მშრომელებს. კოლმეურნე პიონერებმაც აგრეთვე ფართო ფრონტით უნდა გაილაშქრონ მათ წინააღმდეგ, ვინც მუშაობას გაურბის, უსაქმურთა და ზარმაცთა წინააღმდეგ. უნდა შევძლოთ და ყველა მუშახელი მთლიანად გამოვიყენოთ თესვის დროს. ამისათვის პიონერებს მოვუწოდებთ:

1. დაიწყონ კამპანია სოციალისტური შეჯიბრების ჩასატარებლად მშობელთა შორის; გადაიღონ მაგალითი ქალაქის პიონერებისაგან და მშობლებთან დასდვან ინდივიდუალური ხელშეკრულებანი. ხელშეკრულების პროექტი ამავე ფურცელზე იბეჭდება.

2. ეს ხელშეკრულებები უნდა დაიდვას მშობელთა საერთო კრებებზე, ხელშეკრულებების შესრულების კონტროლის გასაწევად მოეწყოს საზოგადო კომიტეტი დიდებისა და ბავშების შემადგენლობით.

3. დამკვრელ ბრიგადებში მშობელთა ჩ საბმელად გამოწვეულ იქნან სოცშეჯიბრებაში ქალაქის რაზმები.

4. გაეწიოს საზოგადო კონტროლი ზარმაცებსა და მუქთახორებს, რომლებიც მუშაობას გაურბიან. ამისათვის საჭიროა საერთო კრებებზე გამოსვლა და საზოგადო მსჯავრის გამოტანა. კოლმეურნეობაში უნდა მოეწყოს წითელი და შავი დაფა საუკეთესო დამკვრელების წასახალისებლად და ცუდი მწარმოებლების გასამათრახებლად.

**მშობლები უნდა დავითანხმოთ შემდეგ ვალდებულებებზე.**

1. მე (ესა და ეს) თესვის დროს ვალდებული ვარ სწრაფად და წესიერად შევასრულო კოლმეურნეობის გამგეობის და ბრიგადირის საწარმოო ხასიათის ყველა განკარგულება.

2. თუ ბრიგადირთან რაიმე გაუგებრობა მომიხდა, მუშაობას არ მივატოვებ შუაგზაზე და გაუგებრობას მუშაობის დამთავრების შემდეგ გამოვარკვევ.

3. შევალ აგროტექნიკურ ჯგუფში.

4. კოლმეურნეობაში შემჩნეულ ყოველგვარ უწესრიგობასა და სისაძაგლეს ვამხილებ საწარმოო ხასიათის და საერთო კრებებზე, გამოვაქვეყნებ კედლის გაზეთში და არ ვილაყბებ გზაჯვარედინზე.



პიონერები შაბათობაზე

5. დავესწრები საწარმოო ხასიათის ყველა კრებას და ვიზრუნებ კოლმეურნეობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

6. სასტიკად გავილაშქრებ საწარმოო დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ, ზარმაცების, მუქთახორების და კოლმეურნეობის ავტორიტეტის დამცემთა წინააღმდეგ.

7. არ დავლევ ღვინოს და სპირტიან სხვა სასმელებს.

8. გავხდები წერა-კითხვის მცოდნე და ყოველთვიურად გამოვიწერ და ვიკითხავ გაზეთს.

9. ცოლშვილს ხელს არ შევუშლი საზოგადო მუშაობაში.

10. მთელი ძალ-ღონით ვეცდები, რომ კოლმეურნეობამ შესძლოს პროდუქტების დამზადება არა მარტო კოლმეურნეთა მოთხოვნილებისათვის საჭირო რაოდენობით, არამედ მიჰყიდოს კიდეც სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს. აქტიურად გამოვალ კრებებზე მათ წინააღმდეგ, ვისაც სურს კოლმეურნეობის გამოყენება მხოლოდ საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

11. ყოველნაირად დავეხმარები საყოველთაო სწავლებისათვის შემზადებას და განხორციელებას. გამოვალ კრებებზე და ვიზრუნებ ბავშთა აღსაზრდელად განსაზოგადოებული ფონდის შექმნისათვის.

12. დავეხმარები პიონერებს საჩვენებელი მუშაობისათვი სმიწის სპეციალური ნაკვეთების გამოყოფაში მას.

**ბავშთა კულტურულ—ყოფაცხოვრებითი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.**

გლეხობის პატარა და დაფანტული ოჯახების მსხვილ მეურნეობაში გაერთიანება ძალიან გააუმჯობესებს კოლმეურნეთა მატერიალურ მდგომარეობას. ეს საშვალებას მოგვცემს დღემდე უნახავ სიმაღლემდე ავიყვანოთ და გავაუმჯობესოთ ბავშთა კულტურულ—ყოფაცხოვრებითი პირობები. ისე, როგორც ქალაქში, ჩვენ უნდა მოვითხოვოთ შემდეგი: მსხვილ კოლმეურნეობებში მშენებლობის დროს მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ჩვენი საჭიროებანი.

ამისათვის წინადადებას ვიძლევით შემოდგომაზე, სამეურნეო გეგმის შედგენის დროს, მოვითხოვოთ:

1. საბავშო კლუბების აშენება სკოლისგარეშე მეცადინეობისათვის.

2. მთლიანი კოლექტივიზაციის ყველა რაიონში უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო, ტექნიკური და სასპორტო სადგურები.

3. მოსწავლეთათვის უნდა მოეწყოს სპეციალური საზოგადო კვება ექიმების მიერ განსაზღვრულ საათებში.

4. კოლმეურნეობამ უნდა იკისროს იმ ბავშთა მოყვანა-წაყვანა, რომლებიც შორს არიან სკოლაზე, ან უნდა მოაწყოს სპეციალური საერთო საცხოვრებლები.

5. მასწავლებელთან ერთად საერთო კრებაზე უნდა დაისვას საკითხი კოლმეურნეთა ყველა ბავშის სკოლაში შესვლის აუცილებლობის შესახებ, რაც წელსვე უნდა მოხდეს. კულაკების საუკეთესო შენობებში უნდა გაიხსნას სკოლები და მოეწყოს მოწაფეთათვის საჭირო საერთო საცხოვრებელი ბინები და სასადილოები. დიდებისა და პიონერებისაგან შედგეს საზოგადო კომიტეტი, რომელიც შეამზადებს ყოველგვარ პირობას საყოველთაო სწავლების გასატარებლად მიმდინარე წელს (დამზადება შენობების, სახელმძღვანელოების, ბავშთა აღრიცხვა და სხვა)



ტრიერზე მუშაობა

**შეგნებული დედა—კოლმეურნისათვის.**

ჩვენი დედები ძალიან ჩამორჩენილები არიან. ეს არ არის გასაკვირი. წინად ქალი არ ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ქალის შეუგნებლობით ისარგებლა კულაკმა: როდესაც კოლექტივიზაციაზე დაიწყო ლაპარაკი, კულაკი ქალებს აშინებდა ჭორებით, კონტრრევოლუციონური აგიტაციით და ამხედრებდა ქმრების წინააღმდეგ, რომლებიც კოლმეურნეობას იცავდენ. კოლმეურნეობის წინააღმდეგ ბრძოლაში კულაკი კიდევ ბევრჯერ შეეცდება დაეყრდნოს ქალებს. პიონერებმა უნდა შესძლონ ის, რომ ქალები აღარ წამოეგონ კულაკებისა და წაკულაკო ხალხის ანკესს. ამისათვის წინადადებას ვიძლევით საჩქაროდ ჩატარდეს მთელი რიგი ღონისძიებათა, რომლებიც თვალსაჩინოდ დაუმტკიცებენ ქალებს კოლმეურნეობის უპირატესობას ინდივიდუალური მეურნეობის წინაშე:

1. თითოეულ კოლმეურნეობაში უნდა მოეწყოს ბაგები, რომ ამით გავათავისუფლოთ დედები ბავშების მოვლისაგან.

2. უნდა მოეწყოს დამექანიზებული სამრეცხველოები.

3. წერა-კითხვის უცოდინარ ყველა კოლმეურნე ქალს უნდა ვასწავლოთ წერა-კითხვა და შევაჩვიოთ ისინი გაზეთების კითხვას.

4. სპეციალურად ქალებისათვის მოეწყოს ხმამაღლა კითხვა სხვა კოლმეურნეობათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისა და წარჩინების შესახებ, ხშირად გაიმართოს ქალებთან ანტირელიგიური და სხვა ხასიათის მუსაიფი.

**მოჯამაგირეთა და ულარიბესთა კავშირის განმტკიცებისათვის.**

კოლექტივიზაციის ნამდვილი დასაყრდნობი—მოჯამაგირენი და ულარიბესნი არიან. ყველაზე უფრო ისინი იტანჯებიან, როდესაც მეურნეობა ინდივიდუალური წესით წარმოებს. კოლმეურნეობის გასამტკიცებლად და მტრული გავლენისაგან დასაცავად, პირველ რიგში საჭიროა განვამტკიცოთ არტელში მოჯამაგირეთა და ულარიბესთა კავშირი და გავაძლიეროთ მისი ავტორიტეტი. ამისათვის წინადადებას ვიძლევით:

1. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია პირველ რიგში უნდა მოხდეს მოჯამაგირეთა და ულარიბესთა შორის.

2. ყველა მათგანმა რეგულარულად უნდა იკითხოს ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც აშუქებენ კოლმეურნეთა მუშაობის გამოცდილებას.

3. სპეციალურად უნდა მოეწყოს ხოლმე მათთვის გაზეთების კითხვა და გავაცნოთ მათ პარტიის მორიგი ამოცანები.

4. ყველა ისინი რეგულარულად და უკლებლივ უნდა ესწრებოდენ ღარიბთა ჯგუფების კრებებს.

**ყველა კოლმეურნე ბავში პიონერულ რაზმში.**

თუ კოლმეურნეობის დროშის ქვეშ თავს მოვუყრით მოჯამაგირეებს, საშუალოთა და ღარიბთა მოზარდ თაობას, ეს ნიშნავს ინდივიდუალური მეურნეობის და კულაკის საბოლოოდ განადგურებას. აი, ამიტომ, დღეს, როდესაც კოლექტივიზაციის ირგვლივ ბრძოლა ასე გაჩაღდა, ჩვენ უნდა დავისახოთ ასეთი ამოცანა: მოჯამაგირეების, ღარიბების და საშუალოთა შვილები უნდა ჩავაბათ პიონერულ რაზმებში. უპირველეს ყოვლისა, ამ რაზმებში უნდა შევიდენ კოლმეურნეთა შვილები, ხოლო ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ კოლმეურნეობის გარეშე დარჩენილია გლეხობის ოჯახთა 45%. ჩვენ არც იმის უფლება გვაქვს, რომ უარი განვაცხადოთ და არ მოვახდინოთ კომუნისტური გავლენა არაკოლმეურნეთა შვილებზე. ეს ნიშნავს ამ ბავშების დატოვებას კლასიური მტრის განკარგულებაში. ჩვენ წინადადებას ვიძლევით:

1. ჩატარდეს დამკვრელი კვირეული ბავშების შესაკრებად რაზმებში.

2. მოეწყოს კოლმეურნეთა ბავშების კრებები, სადაც უნდა დაისვას კითხვები კოლმეურნეობის მუშაობაში მონაწილეობაზე და პიონერორგანიზაციების ამოცანებზე.

3. სოფელში თითოეულ პიონერს მიეცეს დავალება შეკრიბოს ბავშთა განსაზღვრული რიცხვი პიონერრაზმში.

4. ბავშთა ყველა სასწავლო-საწარმოო ბრიგადა, რომელიც კოლმეურნეობაში არსებობს, კოლექტიურად უნდა შევიდეს პიონერორგანიზაციაში.

5. ჩატარდეს ბავშთა შეკრებები, სადაც საზეიმოდ უნდა მიიღოთ ახალი ბავშები პიონერორგანიზაციაში.

6. ახალი ბავშების ხელმძღვანელად უნდა გამოიყოს პიონერი, რომელმაც თავი ისახელა კოლექტივიზაციისათვის ბრძოლაში.

**დაიმუშავეთ ეს გეგმა.**

წაიკითხეთ ბავშთა შრომის შესახებ პიონერთა აგრეთვე პრაქტიკულ ამოცანებზე თესვის დროს, და მაშინ თქვენს წინაშე იქნება იმის მთლიანი სურათი, თუ რას უნდა მოჰკიდოს ახლავე ხელი საკოლმეურ ნეო რაზმმა. ჩვენ მიერ შემუშავებულია მხოლოდ მუშაობის დაახლოვებითი გეგმა. საკოლმეურნეო თითოეულმა რაზმმა კარგად უნდა შეისწავლოს მის გარშემო არსებული პირობები და მიიღებს რა ჩვენს გეგმას, როგორც საფუძველს, კიდევ უფრო ვრცლად დაამუშაოს იგი თავისთვის.

რედაქცია უცდის თქვენს შენიშვნებს — როგორ გამოიყენეთ ჩვენი გეგმა, რა ახალი საკითხები წამოაყენეთ და როგორ ანხორციელებთ ყოველივე ამას.

**კულაკური აგიტაციის წინააღმდეგ**

კულაკი არ დაჰყრის კოლმეურნეობასთან საბრძოლველ იარაღს. თუ კულაკმა ვერ დააკავა გლეხების ერთი ნახევარი, რომელიც შევიდა კოლმეურნეობაში, სამაგიეროდ იგი ყველაფერს იზამს, რომ შეაძულოს და ჩამოა-



საუბარი პიონერებთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტრაქტორებს

რკინის მერნებო,
ეს მინდვრები
გადავიაროთ.
დაცემულ ველებს
ფოლადის ნება
გავუზიაროთ.
გასწი მხარდამხარ,
ბელტი ბელტებზე
გადმოვაბრუნოთ,
მთიდან მთებამდე
სიმღერები
დავაგუგუნოთ.
ჰხედავთ ქვეყანას,
დღე დაჰყურებს
ნათელმზიანი.
ფოლად საკვეთით
გავაპოთ მიწა
ბარაქიანი.

მივყვეთ ნაკვალევს,
ვთესოთ მარცვალი
და ალტაცება,
ცის დასავლისკენ
წავრეკოთ მკერდით
ღრუბელთა წყება.
დავდგეთ მხარდამხარ,
გავყვეთ ამ სივრცეს
რკინის მდევებად,
დღეს უფრო მჭიდროდ
მიწას და შრომას
მძლავრად შევებათ
მზეს გადვუშალოთ
ამ ყანების სიღრმე და სისქე,
რომ ჭირნახული
სოფელს და ქალაქს
ჩვენ ერთად მივცეთ.

**პოლიო აბრამია**

---

შორის კოლექტივიზაციის გლეხობის მეორე ნახევარი. კულაკი გაავრცელებს ცრუ ცნობებს კოლმეურნეობათა მდგომარეობის შესახებ, შეთხზავს ჭორებს და სხვა. კულაკების კონტრრევოლუციონურ აგიტაციას ჩვენ უნდა დავუპირისპიროთ ნამდვილი კომუნისტური გავლენა ღარიბებისა და საშუალოთა მეურნეობაზე, რომელიც ჯერ კიდევ არ შესულა კოლმეურნეობაში. საჭიროა:

1. განსაზღვრულ დღეებში მოვიწვიოთ განცალკევებული პირები, მივცეთ მათ ვრცელი ინფორმაცია-განვმარტოთ მუშაობის მიმდინარეობის შესახებ კოლმეურნეობაში, განვუმარტოთ უკანასკნელის მორიგი ამოცანები და შევძლოთ ის, რომ ამ განცალკევებულმა პირებმა რეგულარულად ინახულონ კოლმეურნეობა. პიონერებმა უნდა იკისრონ საღამოების მოწყობა განცალკევებულთა შესაკავშირებლად, ამ საღამოებზე სტუმრებს უამბონ და ვრცლად გააცნონ კოლმეურნეობის მიღწევები.

2. რაზმმა უნდა გამოჰყოს ხელმძღვანელთა ჯგუფი ექსკურსიების მოსაწყობად კოლმეურნეობის ცხოვრებით დაინტერესებულთათვის.

3. გამოუშვან და სოფლად გამოაკრან საინფორმაციო ბიულეტენები თესვის მიმდინარეობის შესახებ კოლმეურნეობაში.

**სად არის საჭირო პიონერის თვალი.**

1. ბავშები 8-დან 9 წლამდე ერთ ჯერად მუშაობენ არა უმეტეს 1 საათისა, 9-10 წლის—$1^1/_2$ საათი, 11-12 წლის—2 საათი, 13-14 წლის—$2^1/_2$ საათი და 15-16 წლის-3 საააათი.

2. დღის განმავლობაში კი ბავშებისათვის ფიზიკური შრომა დასაშვებია:

8-12 წლამდე—2-3 საათი, 12-14 წლიანებისათვის არ უნდა აღემატებოდეს 4 საათს და 14-16 წლიანებისათვის—6 საათს. სეზონური მუშაობის დროს, როდესაც 2-3 საათია საჭირო სხვა სახის სამუშაოსათვის (ჩვეულებრივი სასკოლო სამუშაო), 12-14 წლიანებისათვის 3 საათი და არა უმეტეს 2 საათისა 14-16 წლიანებისათვის.

3. 14 წლამდე დაუშვებელია შრომა, რომელიც ითხოვს სპეციალური ნაკვთების მუშაობას, მაგალითად, მხოლოდ ხელით მუშაობა, მუცლის ღრუზე ძლიერი დაწოლა (სიმძიმის აწევა და მიტან—მოტანა) შეიძლება არა ადრე 15-16 წლისა.

4. ზაფხულობით ბავშებმა უნდა იმუშაონ დილით 8 საათამდე და საღამოთი—არა უადრეს 16 საათისა.

5. ბავშებმა 10 წლამდე დღეში უნდა იძინონ 10 საათი, 14 წლამდე—9 საათი.

6. დიდი სიცხის, ცხელი ქარის, წვიმისა და დიდი სიცივის დროს ბავშები სრულიად არ მუშაობენ. მათვე კატეგორიულად ეკრძალებათ ღამე მუშაობა.

7. მუშაობა წარმოებს რაც შეიძლება მჩატე, მაგრამ ჰაერის ტემპერატურასთან შეფარდებულ ტანსაცმელში, ზაფხულობით კი, შეძლებისდაგვარ, „ტრუსიკებში“.

8. ზამთარში მუშაობენ თბილი პალტოებით, თბილი ფეხსაცმლებით და იგივე სამუშაოები დროის მიხედვით მცირდება არა ნაკლებ ერთი მესამედისა.

სრულიად დაუშვებელია შემდეგი სამუშაოები:

ა) 12 წლამდე არავითარი მუშაობა არ შეიძლება მანქანებზე. 12-14 წლამდე შეიძლება უბრალო მანქანაზე მუშაობა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბავში არ მოძრაობს და ზის. 14 დან 16 წლამდე დასაშვებია მანქანაზე მუშაობა, თუ სისწრაფე საათში 4 კილომეტრს არ აღემატება (თუ ტემპი უფრო ჩქარია, ბავში ზის მანქანაზე სპეციალურად მოწყობილ საჯდომზე).

ბ) 14 წლამდე არ შეიძლება ყამირი მიწის ხვნა (განსაკუთრებით) და მისი დამუშავება ძნელი საშუალებით.

გ) აწევა და გადატანა 16 კილოზე მეტი სიმძიმის (15 წლამდე), მძიმე ბერკეტების და მანქანების გადაწევა და აგრეთვე ძნებისა და მძიმე კონების აწევა, ნაკელის დაყრა ნიჩბებით და სხვა შესაფერისი იარაღით.

დ) ტრაქტორზე მუშაობა (18 წლამდე), რადგან იგი დაკავშირებულია ძლიერ და მუდმივ ხმაურობასთან და იწვევს ჰაერის გაფუჭებას, სიცხეს მოძრაობისაგან, მტვერს და ძარღვებას ძლიერ დაჭიმვას.

ე) შეშის ჭრა (14 წლამდე), მაგარი ბალახების (იონჯა და სხვ.) თიბვა ხელით, ლეწვა, თესვა და მძიმე მიწის ბარვა.

ვ) მიწის გასანოყიერებელი მინერალების მიმოყრა და ქიმიურად შეზავებული სხვადასხვა საწამლავის დაყრა მიწის მავნებლებთან საბრძოლველად. მეორისათვის საჭიროა სპეციალური თვალყურის დევნება და ხელმძღვანელობა მცოდნე პირთა მხრივ.

ზ) დაუშვებელია ყოველგვარი სამუშაო, რომელიც ისევე, როგორც დიდებისაგან, მოითხოვს ფიზიკური და გონებრივი ძალ-ღონის საგრძნობ დაჭიმვას, სამუშაო, რომელიც იწვევს არაბუნებრივ და უხერხულ პოზას, აგრეთვე ავტომატიური ხასიათის სამუშაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოთარი

— ნაუ, ნაუ!—გაისმის გაბზარული ზარის ხმა სოფელ კარეთის განაპირად ფერდობზე გადმომდგარი ძირგამომპალი ხის სამრეკლოდან, რომლის ყავრით გადახურულ გუმბათზე კიდევ ჩანს ჟანგით შეჭმული რკინის ჯვარი.

ზარის რეკა ყორნის ფრთების შრიალივით ეფინება აქვე ბექობის კალთებზე გაშენებულ სოფელს, და სოფლელებიც, ბაღ-ვენახებში სამუშაოდ გამოფენილნი, ზარმაცულად წევენ თავს და იცქირებიან გორაკისკენ, საიდანაც ხელისგულივით ჩანს ქვიტკირის პატარა, თეთრი ეკლესია თავისი განზე გადაზნექილი ხის სამრეკლოთი.

ზოგიერთი სოფლელი, ნაწყენი იმით, რომ გაგანია მუშაობის დროს რეკენ ზარებს, რაც მოასწავებს სამუშაოზე ხელის აღებას და ეკლესიაზე წასვლას, აგრეთვე უკმაყოფილო მით, რომ ეს ეკლესია, მიუხედავად კომკავშირელთაგან არა ერთხელ მიტანილი იერიშისა, მაინც გადარჩა დახურვას, გულიანად იგინება და ზარის რეკის საპასუხოდ გამოსთქვამს ათასგვარ უწმაწურ სიტყვას ეკლესიისა და მის გამომგონელთა მისამართით.

თანდილა ვენახს სხლავდა.

სარის რეკის გაგონებაზე თავი აიღო და უკმაყოფილოდ გადასძახა თავის 10-11 წლის ოთარს, რომელიც იქვე მამის მიერ დაყრილ წალამს კრეფდა და ერთად აგროვებდა.

— ოთარ, არ იცი, რატომ რეკენ იმ ვერანას?!.

— არ ვიცი, მამა,—უპასუხა ოთარმა და გორაკზე ეკლესიისკენ გაიხედა,—დღეს სკოლაში მასწავლებელს არაფერი უთქვამს,—დაუმატა მან და სიხარულით ანთებული თვალები დასავლეთისკენ გადახრილ მზეს მიაპყრო, რომელიც ცეცხლის უზარმაზარ გოგრასავით ეკიდა ცაზე და ალისფრად აელვარებდა ნაადრევი გაზაფხულის მიერ აკოკრებულ არე-მიდამოს.

ამ დროს ახლა ორღობეში გაისმა მედგარი ხმამაღალი გადაძახილი აქა-იქ.

— ნიკა, თედო, ტარასი, არ გესმით, რომ რეკენ?! წამოდით, წამო, კრებაა!!

— თანდილა, აბა შენც. არ დაიგვიანო, თუ კაცი ხარ, დღეს მეტად საინტერესო საკითხია გასარჩევი.

შემოესმა თანდილას და ორღობისკენ გაიხედა.

ღობესთან იდგა ოცისთავი ვარდენი, რომელიც სოფლად ერთ-ერთ მოწინავე გლეხად ითვლებოდა და საბჭოს წევრი იყო.

— ნეტავ, რა კრებაა დღეს, ვარდენ?— იკითხა თანდილამ და გადასაბიჯთან მივიდა.

— კოლექტივის შექმნის საკითხია გადასაჭრელი და აბა, შენ იცი, თანდილ, როგორ შეგნებულად ძოეკიდები ამ საკითხს.

უპასუხა ვარდენმა და ჩიბუხს ცეცხლი მოუკიდა... გააბოლა და ასე ბოლში მთლად გახვეულმა ყალიონის ლაპუნით განაგრძო ისევ:

— ჰო და, იმას ვამბობდი, დღეს გორიდან ალმასკომის წარმომადგენელი ჩამოვიდა და განაცხადა: ბევრ სოფელში მოვაწყვეთ კოლექტიური მეურნეობანი და აქაც დროა აწ ხელი მოვკიდოთ მის შექმნასო.

— კოლექტივი?! ოჰ, ეს კარგია, მარა...

თანდილა ჩაფიქრდა.

— მაგრამ რა, თანდილ, რაზე დაეჭვდი!..

— რა და გლეხები დათანხმდებიან?!

— ყველა არა, მაგრამ ღარიბი და მოჯამაგირენი რომ არიან, ისინი ხომ... მაგრამ ამის შესახებ იქ მოვილაპარაკოთ, ახლა კი ცოტა მეჩქარება, მთელ სოფელს უნდა შევატყობინო და აწ შენ იცი, თანდილა, თუ არ დაიგვიანებ,—დაუმატა ვარდენმა და ორღობეს აჰყვა, სხვა მეზობლებისკენ გასწია.

— ოთარ, აჰ, ოთარ!—გადასძახა ვარდენის წასვლის შემდეგ თანდილამ ოთარს, რომელიც ისევ თავაუღებლივ განაგრძობდა წალმის კრეფას.—მე კრებაზე მივდივარ, შენ კი, წალმის კრეფას რომ მორჩე, ხბო მიუყვანე დედას და ძროხა მოაწველინე.

— კი, მამა, მარა მეც მინდოდა წამოვსულიყავი კრებაზე,—მორცხვად მიუგო ოთარმა და გაწითლებულმა თავი ჩაკიდა.

— შენ რატომ, შვილო?!—ჰკითხა თანდილამ და ოთარს თავზე ხელი გადაუსვა,

— მასწავლებელმა გვითხრა, თქვენ, როგორც პიონერები, სოფლის ცხოვრების ყველა საკითხში უნდა ერკვეოდეთო.

— კარგი, აბა, შვილო, —ტკბილი ხმით დაუყვავა თანდილამ ოთარს და განაგრძო, წალმის აკრეფა ხვალისთვის გადადე... ახლა კი ხბო მიუყვანე დედას შინ და მერე შენც წამოდი... სულერთია, ასე უცებ კრება მაინც არ დაიწყება.

სახეგაბრწყინებულმა ოთარმა ალერსიანი თვალებით ახედა მამას, რომელიც ისევ მამობრივი თბილი გრძნობით დაჰყურებდა და თავზე ხელს უსვამდა.

— აბა, ახლა წადი და ხბო ახსენი.

ოთარმა კუნტრუშით მიირბინა ხბოსთან, მოხვია მას კისერზე ხელი და დაუწყო ალერსი, თითქოს ამით ამცნობდა მზეს, ხბოს და ოქროსფერ ახალ გაზაფხულს, რომ მას ჰყავს ყველაზე უფრო ტკბილი და უსაყვარლესი მამა, რომელიც უყვარს თავის თავზედაც კი უფრო ძლიერ.

II

ეკლესიის ეზო ხალხით ივსებოდა.

ზოგი პირდაპირ სამუშაოებიდან მოდიოდა ბარ-ნიჩბითა და წალდით.

ზოგს კი შინ მისვლა და პირის დაბანა-გასუფთავებაც მოესწრო, რის გამო ეს უკანასკნელნი უფრო სადღესასწაულოდ გამოწყობილს გავდენ.

მოდიოდენ გლეხიქალებიც, აქა-იქ ერიენ ძუძუმწოვარაბავშებიანი დედებიც.

ახლადმოსულნი ეკლესიის ეზოში აქა-იქ გაფანტულ საფლავების ლოდებზე სხდებოდენ და ერთი-მეორეში ბჭობდენ და ყაყანებდენ სხვადასხვა საკითხზე.

ზოგნი კი სამრეკლოს ქვეშ დადგმულ მაგიდასეხვეოდენ, რომელთანაც იჯდა გორიდან ახლად ჩამოსული შუახნის უცნობი კაცი და წინდაწინვე ცდილობდენ გაეგოთ კრების მოწვევის მიზანი და დანიშნულება.

თან ქურდულად, მორიდებით უცნობს ათვალიერებდენ და ერთიმეორეს უზიარებდენ მისგან მიღებულ შთაბეჭდილებას.

უცნობი კი იჯდა მდუმარედ, თავჩაღუნული და მის წინ გადაშლილ რაღაც ფურცლებს კითხულობდა.

შედგა თუ არა ფეხი ეკლესიის გალავანში, თანდილას ყურადღება უცებ მიიპყრო ერთი საფლავის უზარმაზარ ლოდთან შეკრებილი გლეხების ხმამაღალმა ყაყანმა.

თანდილა მიუახლოვდა მათ.

იცნო თავისი მეზობლები და მათ შორის კი სოფლის თითქმის ყველაზე უფრო შეძლებული, წინად ამავე სოფელში ვაჭრად ნამყოფი გლეხი ბათლომე და ამ უკანასკნელის ცოლიძმა, ესეც შეძლებული ოჯახის პატრონი ზოსიმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქობულეთის პიონერები მუშაობენ საცდელ მინდორში

ბათლომეს მდიდარი, მოხერხებული და ჭკვიანი კაცის ხმა ჰქონდა დავარდნილი სოფლად, და სოფლელებიც მას ჯერ კიდევ, ზნე-ჩვეულებების მიხედვით, ერთგვარი პატივისცემით ეპყრობოდენ ხოლმე.

სოფლის საბჭო და მისი ხელმძღვანელი ამხანაგები ერასტი, ვარდენი და სხვები ყოველმხრივ ავიწროებდენ ბათლომეს და ზოსიმეს, აწერდენ მათ სხვადასხვა გადასახადს, გაჰყავდათ ისინი სამუშაოდ საზოგადოებრივ სამუშაოებზე, მაგ. გზის შესაკეთებლად, არხის გასაყვანად და სხვა, მაგრამ ბათლომეს, როგორც ერთხელ ყველას მიერ მიღებულ ჭკვიან და მდიდარ კაცს, გავლენა მაინც შერჩენოდა სოფლად და ამ გავლენის ქვეშ ხშირად ვარდებოდა საბჭოში მომუშავე ზოგი გლეხიც. უპირველესად ყოვლისა ამის მიზეზი ის იყო, რომ ბათლომეს მუდამ ჰქონდა საკმაო ფული (გასაბჭოების დროს ბათლომემ მოასწრო თავისი მეორე სახლის გაყიდვა და ფულად ქცევა), და ზოგიერთი ხელმოკლე გლეხი საჭიროების დროს იძულებული ხდებოდა ესესხებინა მისგან ფული და ეძლია დიდი სარგებელი.

ამიტომ იყო, რომ ბათლომესაგან ეკონომიურ დამოკიდებულებას მისდევდა ნაბიჯით ბათლომეს გავლენის ზრდა და, მართალია, სოფლის საბჭო და გლეხკომი ებრძოდა ამ უკუღმართობას იმით, რომ თვით დაიწყო სესხის გაცემა ფულით თუ სასოფლო-სამუშაო იარაღებით, მაგრამ ბათლომეს მაინც მუდამ საკმაოდ რჩებოდა თავისი ასე ვთქვათ მუშტარი და გასესხებული ფულიდან მუდამ საკმაო სარგებელს ღებულობდა ყოველთვიურად.

გარდა ამისა, ბათლომე ითვლებოდა ღვთისმორწმუნე კაცად და როცა კარეთის კომკავშირელებმა სცადეს იერიში მიეტანათ ეკლესიაზე მის გასაუქმებლად და მის მაგიერ ქოხ-სამკითხველოს მოსაწყობად, მღვდელმა რომანოზმა ბათლომეს და ზოსიმეს დახმარებით შესძლო ამ იერიშის მოგერიება და ეკლესიის შენარჩუნება.

ამ შემთხვევაში ბათლომეს გამარჯვება უფრო ადვილი გახდა, რადგან ის გლეხები, რომლებსაც მისი პატივისცემა ჰქონდათ, მიუხედავად კომკავშირელთა ანტირელიგიური აგიტაციისა, ადვილად ეგებოდენ ბათლომესა და რომანოზ მღვდლის ანკესზე და აწერდენ ეკლესიის მომხრეთა სიაზე ხელს.

ამნაირად, როგორც ვთქვით, სოფლის ცხოვრებას, რომელსაც წინ ეზიდებოდენ კომკავშირელები და კომუნისტები და ცდილობდენ მის ახალი ცხოვრების ლიანდაგზე დაყენებას, უკან ეზიდებოდენ ბათლომე და მისი დამქაშები, და ამიტომ სოფლად ისევ გუგუნებდა კვირაუქმე დღეებში ზარების ხმა, ისევ იყო ნათლობა და ჯვარისწერა, ისევ ეწყობოდა დღეობები და ქელეხები, ისევ იმართებოდა ხშირად ამ დღეობებში მუშტი-კრივი და ხანჯლების ტრიალი.

მართალია, საბჭოც მუშაობდა:

გაიყვანა სარწყავი არხი სათეს მინდვრებში და ბაღბოსტნებში, გააკეთა ხიდი მდინარე რეხაზე, რითაც ხშირად წყალდიდობის დროს მთელი კვირაობით მოწყვეტილი საყანე მიწები დაუკავშირა სოფელს; გააკოტრა ბათლომე ვაჭარი და მის დუქანში გახსნა კოოპერატივი, ააშენა ოთხწლედისათვის შესაფერი შენობა და ამნაირად კულტურის კერაზე ცეცხლი გააჩაღა, შეასწავლა რამდენიმე ათეულ გლეხსა და გლეხქალს წერა-კითხვა, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მღვდელ რომანოზს და ბათლომეს ისევ ჰყავდათ ჩაბღუჯული თავის კლანჭებში ზოგი ღარიბი გლეხები, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, თუ რევოლუციის ქარტეხილმა რატომ ვერ შესძლო კიდევ უფრო მეტი ცვლილებების შეტანა სოფლად და ახალი ყოფა-ცხოვრების ცხოველ სხივთა ჭარბად შენათება თვით იმ გლეხთა ცხოვრებაშიაც კი, რომლებიც მთელი თავისი მდგომარეობის და შეგნების გამო მზად იყვნენ ემსახურათ და ემუშავათ რევოლუციისათვის.

(გაგრძელება იქნება)

პეტრე სამსონიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ჩვენი ცოცხალი საქმე"

## ხელს ვუწყობთ თესვის კამპანიას
### (ქობულეთის მაზრა)

თესვის კამპანიასთან დაკავშირებით ქობულეთის მაზრის პიონერთა ორგანიზაცია შეუდგა მუშაობას. წინასწარ მოწვეულ იქნა თათბირი კოლექტივების ხე. ლმძღვანელების, სადაც დასმულ იქნა საკითხი თესვის კამპანიის შესახებ. პიონერორგანიზაციის თათბირმა დასახა მთელი რიგი ღონისძიება, თუ როგორი მუშაობა უნდა აწარმოონ სოფლად პიონერკოლექტივებმა. ამ მიზნით შექმნილ იქნა ბრიგადები, როგორც წარმოების კოლექტივებში, აგრეთვე გლეხთა ახ. სკოლებში, რომლებიც ყოველგვარ დახმარებას უწევენ სოფლის ორგანიზაციას ლიტერატურის მიწოდებით, ხმამაღლა გაზეთის კითხვით გლეხობაში, სათესლე ხორბლეულის გადარჩევით და სხვა, აგრეთვე თითქმის ყველა ორგანიზაციაში მოწყობილია ჩაის, სიმინდის, ბოსტნის საცდელი კოლექტივები. სიმინდის არის 5 კოლექტივი, ჩაის—8, ბოსტნის—5.სულ 19 საცდელი მინდორია ქობულეთის მაზრის პიონერორგანიზაციაში.

ჯავალიძე.

## ჩვენც მივიღეთ მონაწილეობა

ოზ. ქარხნის კომუჯრედთან და კომკავშირთან არსებულმა მარიამ ორახელაშვილის სახელობის ნ/პ. კოლექტივმა აქტიური მონაწილეობა მიიღო საგაზაფხულო თესვის კამპანიაში. შევადგინეთ სათანადო გეგმა, ჩამოვაყალიბეთ სხვადასხვა ნებაყოფლობითი ჯგუფი, მაგალითად: ქვრივ-ოლების დამხმარე, თესლის გადამრჩევი და მწკრივში მთესავი, რომლებმაც დაიწყეს მუშაობა. საშეფოდ ავიყვანეთ ს. მაკვანეთი. წითელარმიელებისა და ქვრივ-ობლების ოჯახების დამხმარე ჯგუფი წავიდა ს. მაკვანეთში და აღრიცხა წითელარმიელებისა და ქვრივ-ობლების ოჯახები, რომლებსაც სჭირდებოდათ დახმარება.

წითელარმიელებისა და ქვრივ-ობლების ოჯახების აღრიცხვის შემდეგ სკოლის უჯრედთან შეთანხმებით წავედით ს. მაკვანეთში. სულ დავეხმარეთ ხუთ ოჯახს—წითელარმიელთა 2 ოჯახს და ქვრივ-ობოლთა 3 ოჯახს, გავასუფთავეთ სათესი ადგილები, ვასწავლეთ, თუ როგორ დაეთესათ თესლი და რა მნიშვნელობა აქვს მწკრივში თესვას.

ელენე ვასაძე.

## პიონერული სახელოსნო პ/კოლექტივში

ზესტაფონის რკ. გზის ადგილკომის სახელობაზე არსებობს ჩორჩ პიონერთა კოლექტივი, რომელიც მაგალითის მაჩვენებლად ითვლება მთელს რაიონში, სადაც მუშაობა მიმდინარობს ახალი სისტემით; კოლექტივი დანაწილებულია სამ რგოლად. პიონერთა მოთხოვნა-ინიციატივით სკოლასთან გაიხსნა პატარა სახელოსნო, სადაც პიონერები მუშაობენ დაზგებზე და თავისი მუშაობით მაგალითს აძლევენ შეუკავშირებელ ბავშებს.

სახელოსნო დიდ დახმარებას უწევს სკოლას ინვენტარის შესაკეთებლად და სხვა სამუშევრების შესასრულებლად. განსაკუთრებით მადლობის ღირსი არიან სკოლის პედაგოგები, რომლებიც უშუალოდ ეხმარებიან სახელოსნოს მუშაობაში.

სტუმარი.

## პიონერთა შაბათობა სას.-სამ. კოლექტივების სასარგებლოდ.

ბ. კ. ო. ხარაგოულის პირველ და მეორე კოლექტივებში საგაზაფხულო კამპანიის და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შესახებ საკითხი დროულად იქნა დამუშავებული. შემუშავდა სამუშაო გეგმა.

გეგმის თანახმად დამუშავებულ იქნა მიწის საცდელ-საჩვენებელი ნაკვეთი.

კოლექტივში შემოვიდა ცნობა სოფ. ჯაფარეულის სას.-სამ. კოლექტივში მუშა-ხელის ნაკლებობის შესახებ და განსაკუთრებით კი ისეთ საქმეებზე, სადაც შესაძლებელია ბავშთა შრომის გამოყენება.

მართლაც, ამა წლის 25 მარტს ადგილობრივი პირველი და მეორე კოლექტივიდან 50-მდე პიონერი გაემგზავრა სოფ. ჯაფარეულში.

ამ სოფლის არტელის კუთვნილი ვენახები მთლიანად იქნა გაწმენდილი ლერწისაგან. მოზრდილმა პიონერებმა გადაზიდეს 2—3 ურემი სარი საზღვრებიდან გზის ნაპირებზე, სადაც ღობის გავლებაა საჭირო. გლეხები ამ ამბავმა ძალიან გაახარა, არტელის გამგეობამ კი აღუთქვა პიონერთა ორგანიზაციას ყოველგვარი დახმარების გაწევა. გეგმაში შეტანილია ასეთივე შაბათობის მოწყობა სოფ. ფარცხნალის, ისლარის, თეთრაწყაროს სას. სამ. კოლექტივებში.

ბავშკორი ვერიკო ბუაჩიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პატარა თუშებიც მუშაობენ

22 მარტს ზემო-ალვანის 7-წლედთან არსებულ ამხ. გიორგი ყურულაშვილის სახელობის ნ./პ. კოლექტივმა მოაწყო შაბათობა არტელის კეთილმოწყობისათვის და გაუსუფთავა 6 ჰექტარი მიწა, ამავე დროს გააერთიანა ნაკვეთები, დაუბარა და დაუთოხნა მიწა ორ ღარიბ დედაკაცს. კულაკებმა ბავშების ასეთი საქციელი არ მოიწონეს და სცადეს პროვოკაციის წარმოება, რომ ბავშები ასეთ საზოგადოებრივ საქმიანობას ჩამოშორებოდენ. სამაგიეროდ პასუხი კულაკებმა მიიღეს ხელმეორედ შაბათობის მოწყობით, სასწავლებლის ახალი არხის გაყვანით და საცდელ-საჩვენებელი ადგილის მოწყობით. პიონერები აქტიურ მუშაობას აწარმოებენ თავის მშობლებში მანდილის მოსახდელად და 100% არტელებში გასაერთიანებლად. პიონერბრიგადები დახმარებას უწევენ არტელს თესვაში. პ/კ. მიერ შეგროვებულია 3200 კ. უტილნედლეული.

ამგვარად პატარა თუშები აგიტაციას აწარმოებენ არტელში სოფლის მთლიანი გაერთიანებისთვის

**მიხეილ ცაკაშვილი**

## თელავი. პიონერთა რაიონულმა ბიურომაც გაგზავნა სოფლად პიონერთა ბრიგადები.

თელავის პიონერთა რაიონული ბიუროს ხელმძღვანელობით გაიგზავნა ნორჩ პიონერთა ბრიგადები შემდეგ სოფლებში: ნაფარეულში, ფშაველში, აწყურში, ხოდაშენში და კურდღელაურში, რომლებმაც წაიღეს სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესაკეთებელი მასალები, აგრეთვე წაიღეს წიგნები, გაზეთები და პლაკატები, რაც სულ უფასოდ დაურიგდება გლეხობას. მოაწყობენ საღამო-წარმოდგენებს, გამოუშვებენ კ/გაზეთს, სადაც გაშუქებული იქნება გლეხობისათვის საინტერესო საკითხები.

## პიონერთა წითელი სასამართლო

ქუთაისის მუსიკალურ ტექნიკუმთან არსებულმა პ/კოლექტივმა ჩამოვაყალიბეთ პიონერთა წითელი სასამართლო, რომელმაც უკვე დაიწყო მუშაობა. ეს წითელი სასამართლო ებრძვის ყოველგვარ მახინჯ მოვლენას, როგორიც არის: კოლექტივში კრებებზე დაუსწრებლობა და უდისციპლინობა, ქუჩაში და კოლექტივში დაუშვებელი სიტყვებით მიმართვა ამხანაგისადმი, ამხანაგის დაცინვა და სხვა.

წითელი სასამართლოს შემადგენლობა ასამართლებს უდისციპლინო ამხანაგს და აძლევს შესაფერის გაფრთხილებას. წითელმა სასამართლომ საბჭოს მოაკლო ერთი საქმე, როგორიც არის ამხანაგების გაფრთხილების მიცემა.

მოვუწოდებ ყველა პ/კოლექტივს, რომ მათაც ჩამოაყალიბონ წითელი სასამართლო.

**შალვა ცინაძე.**

## მისაბაძი მაგალითი

ზესტაფონის შვიდწლედის ა. ლ. კ. კ. უჯრედთან არსებულმა ნ/პ. ორგანიზაციამ დაამუშავა საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარების საკითხი და აგრეთვე შეადგინა სამუშაო გეგმა ზემოხსენებული საკითხის შესახებ. გეგმაში შეტანილი იყო შემდეგი მუხლები: კედლის გაზეთის გამოშვება, შაბათობის მოწყობა მახლობელ სასოფლო-სამეურნეო კოლექტივში, სადაც უნდა გადაბოჭილიყო ლერწი და ხარდანი, აგრეთვე უნდა გაგვეწმინდა ყანები ქვებიდან და ჩიგვნარიდან, უნდა მიგვეწოდებია სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა, შეგვეგროვებინა 900 კილოგრამი უტილნეტლეული.

შვიდწლედის ნ/პ. ორგანიზაცია შეუდგა გეგმის განხორციელებას. კოლექტივმა შესძლო ორჯერ შაბათობის მოწყობა და შეგროვილ იქნა 960 კილოგრამი უტილნეტლეული.

მოწყობილ იქნა შაბათობა საქარის სასოფლო-სამეურნეო კოლექტივში, რისთვისაც წინასწარ იქნა გამოყოფილი საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც შეადგინა იმის გეგმა, თუ როდის და სად უნდა წასულიყო კოლექტივი სამუშაოდ.

საინიციატივო ჯგუფმა მოვალეობა შეასრულა. 24 მარტს 60 პიონერით და მასთან ერთი მასწავლებლით გავემგზავრეთ დილის ცხრა საათზე აფრასიონ მერკვილაძის სახელობის კოლექტივში. როდესაც დანიშნულ ადგილს მივიდენ პიონერები, ისინი გაიშალენ ვენახში სამუშაოდ და მათ ერთგულ მუშაობას ალტაცებაში მოჰყავდა იქ მყოფი გლეხობა. მათ იმუშავეს სამი საათი და 10 ქცევა ვენახში გადაბოჭეს ლერწი და ხარდანი.

კოლექტივს განზრახული აქვს კიდევ მოაწყოს შაბათობა სას.-სამ. კოლექტივში, დაახლოვებით 4 აპრილს. უნდა ითქვას, რომ კოლექტივმა სამუშაო გეგმა სრული ასი პროცენტით შეასრულა.

**ევ. კაპანაძე.**

## ბავშთა მე-10 საერთაშორისო კვირა

წელს ბავშთა საერთაშორისო მე-10 კვირა ხვდება ბავშთა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის 10 წლის თავს. ამიტომ ბავშთა კომუნისტურმა ორგანიზაციებმა გადასწყვიტეს — საბჭოთა კავშირის მასშტაბით ჩაატარონ ბავშთა საერთაშორისო კვირეული მსოფლიო ბავშთა კომუნისტური მოძრაობის პროპაგანდის ლოზუნგის ქვეშ.

ამ საერთაშორისო შეკრების საიუბილეო გაწვევამ პიონერთა ორგანიზაციის რიგებს უნდა შემატოს 1 მილიონი ბავში მუშების და გლეხების წრიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ მოვეპყრათ კულაკების ბავშებს

**გავაძლიეროთ პიონერთა გავლენა ბავშთა მასებზე**

**კიდევ ერთი გადახრის შესახებ.**

კოლექტიურ მეურნეობაზე მასიურმა გადასვლამ უფრო მაღალ საფეხურამდე აიყვანა ჩვენი რევოლუცია. კოლმეურნეობაზე გადასვლის საქმე კეთდება მშრომელთა ასიათასეული ხელებით, მაგრამ ასეთ პირობებში შეცდომათა დაუშვებლად საქმის გაკეთება შეუძლებელია. ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ჩვენ ამ ნაკლოვანებებს „ბრძნული“ მხრით უნდა მივუდგეთ, ე. ი. მათ აღმოსაფხვრელად არ მივიღოთ ენერგიული ზომები.

ჩვენ სასტიკად ვებრძვით კულაკებს, მაგრამ ამ ბრძოლაში ვერ ვამჩნევთ ახალ თაობას, რომელზედაც საჭიროა ზრუნვა.

**მოჯამაგირე ბავშები.**

კულაკებს, როგორც ეს წესად იყო შემოღებული, ემსახურებოდენ მოჯამაგირეები, გამზრდელები, მწყემსები და სხვა. მათი ყოლა კულაკებისათვის მეტად კარგია იმიტომ, რომ სოფლად ბავშთა შრომის დაცვა ძალიან ცუდ პირობებშია ჩაყენებული ან, უკეთ, რომ ვთქვათ, სრულიად არაა დაყენებული შესაფერ ნიადაგზე. არის თუ არა ვინმე დაინტერესებული უმწეო ბავშთა ბედით? სამწუხაროდ, არა!

მოჯამაგირეთა აყვანა, თუ ეს მათ სურთ, უნდა მოეწყოს კოლმეურნეობაში, მხოლოდ საჭიროა მათზე გაძლიერებული მზრუნველობა. ეს საქმე თავის თავზე უნდა აიღოს სოფლის საბჭომ. საჭიროა თვალყურის დევნება, რომ ამ თაობამ ისწავლოს; შეიძლება ისინი რიგს გარეშე იქნენ მიღებული სასწავლებლებში. სათანადო ორგანოებმა უნდა იზრუნონ, რომ ისინი თავის დროზე იქნენ ჩაცმულნი, დახურულნი და კვებით უზრუნველყოფილნი.

კულაკებთან მოჯამაგირეთა უფრო მეტი რაოდენობა დამალულად იყო, ვიდრე აშკარად; ესენი იყვნენ ის



პიონერი შაბათობაზე საგარეჯოში

ბავშები, რომელნიც კულაკებს აღსაზრდელად მისცეს საბავშო სახლიდან, ესენი იყვნენ შორეული ღარიბი ნათესავები. ერთი შეხედვით, ეს ბავშები თითქოს კულაკების „კმაყოფაზე“ იმყოფებოდენ, ნამდვილად კი წარმოადგენდენ მათ მოჯამაგირეებს; კულაკები მათ არ აგზავნიდენ სასწავლებელში, არ კვებავდენ ნორმალურად, ხშირად ნახევრად მშიერი ჰყავდათ, ნორმაზე მეტს ამუშავებდენ და სხვა. კულაკის ეს მოქმედება იმით აიხსნებოდა, რომ ის დარწმუნებული იყო—ამ საქმეებში მიწატყის კავშირი არაფერს იკითხავდა. რა ვუყოთ მათ? ესენი არიან—ღარიბები ღარიბთა წრიდან. ყველაფერი ის, რაც ვთქვით მოჯამაგირეებზე, სავსებით უნდა განვიმეოროთ ამ ბავშების შესახებაც.

**მოზრდილი თაობა სულ სხვაა, ბავშები—სხვა.**

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ კულაკების ბავშები. ხშირად ხდება ასე: პატარა ბავშების მშობლებს დაიჭერენ, დადის პატარა ქუჩა-ქუჩა და ტირის, ყველანი ეხმარებიან მას—ქალებიც და მამაკაცებიც. მაგრამ შვილად აყვანას ვერცერთი ვერ ბედავს: „კულაკის და ისიც აქტიეი კულაკის შვილია“—გაიძახიან ისინი.

აქ საკითხი გარკვეულად დგას: ჩვენ ბრძოლას ვაწარმოებთ მოზრდილებთან; ბავშს არ შეუძლია მშობლების გარდაქმნა, მას არავინ უწევს ექსპლოატაციას, მას არავინ იმონებს, არა აქვს განვლილი ცხოვრება, არავის არ უწამებია. ის არაფერშია დამნაშავე. ბავში—ბავშია. ის უნდა ავიყვანოთ შვილად, უნდა მოვათავსოთ კოლმეურნეობაში, როგორც საკუთარი ბავში. მას უნდა ვასწავლოთ ისე, როგორც სხვებს, მას არ უნდა ვუსაყვედუროთ თავისი წარმოშობა, პირიქით—მისგან უნდა აღვზარდოთ შეგნებული ადამიანი—კომუნისტი

1918 წლის 17 მაისს ბავშთა უფასოდ კვების შესახებ გამოცემულ დეკრეტში, რომელსაც ხელს აწერდა ილიჩი, არის სპეციალური განყოფილება: „უფასო კვების უფლება ენიჭებათ ყველა ზემოხსენებული ასაკის ბავშებს (14 წლამდე), განურჩევლად მათი მშობლების კლასიური კატეგორიისა“.

მოზრდილი თაობა სულ სხვაა. ბავშები—სხვა, უდიდესი შეცდომაა, როდესაც ბავშებზე ვმსჯელობთ მათი მშობლების მიხედვით; შეცდომაა აგრეთვე, როდესაც ვსდევნით იმ მასწავლებლებს და კოლექტიურ მეურნეებს, რომელნიც ზრუნავენ კულაკების ბავშებზე.

**როგორ მოვიქცეთ მოზარდ თაობასთან.**

ახალგაზრდობასთან დამოკიდებულების საკითხი მეტად რთულია. კულაკი მთელი ძალ-ღონით ცდილობს შვილი თავისებურად აღზარდოს. ჯერ კიდევ 70-იან წლებში ლევ ტოლსტოი მოგვითხრობდა იმაზე, თუ როგორ არ გაგზავნა ჩარჩმა თავისი შვილი ახლო მდებარე სოფლის სასწავლებელში, აჩერებდა შინ და პატარაობიდანვე აჩვევდა გლეხის მოტყუებას. არ შეიძლება უარყოთ კულაკის გავლენა თავის მოზარდ შვილზე. მაგრამ ჩვენ ცხედველობაში უნდა მივიღოთ აგრეთვე სხვა გავლენაც - სკოლის, ამხანაგების და ქუჩის.

ჩვენი სოფლის სასწავლებლები საგრძნობ გავლენას ახდენს მოზარდ თაობაზე; ამას აღნიშნავენ მთელი რიგი ამხანაგები, რომელთაც სოფლად უხდებათ მუშაობა, ეს ჩანს სოფლის ახალგაზრდობის მიერ მოწერილ წერილებ-



პიონერი ასწავლის წერა-კითხვას კოლმეურნეობის წევრს

ში, ეს ახალგაზრდები უშუალოდ ხედავენ, თუ როგორ ცხოვრობს ჩვენი ქვეყანა. იმ ჩარჩს, რომელიც ლევ ტოლსტოიმ აგვიწერა, ჯერ კიდევ 70 იანი წლების რეგილიუ·ი სასწავლებლის გავლენის ეშინოდა; დღევანდელი სასწავლებელი კი სულ სხვა სახისაა. ჩვენ ვერ დავაფასებთ პიონერორგანიზაციის გავლენას კულაკების ბავშებზე. ეს გავლენა დიდია. ჩვენ ყველამ დავინახეთ ნორჩი პიონერების მოქმედება მათი შეკრების დროს. მოზრდილები ღელავდენ. როგორ ფიქრობთ, პიონერორგანიზაცია ახდენს თუ არა გავლენას ბავშებზე, განსაკუთრებით იმათზე, რომელნიც ამ ორგანიზაციაში არ შედიან?

გავლენას ახდენს ქუჩაც. ჩვენ ძალიან ხშირად ვლაპარაკობთ ქუჩის უარყოფით გავლენაზე, რომელშიაც უმთავრესად ვგულისხმობთ სურსათ-სანოვაგის ბაზარს, სადაც ყველაფერი სპეკულიაციით სუნთქავს, სადაც თქვენს გვერდით გამვლელი ადამიანი თქვენზე დაუკვირვებლად წამოიძახებს: „ხორცი არის“. მაგრამ არის აგრეთვე მეორე—რევოლუციონური ქუჩა. მე მახსოვს ვიბორგსკის რაიონის ქუჩები, ვასილეოსტროვის ქუჩები 17 წელს. ეს ქუჩები სუნთქავდენ არა სპეკულიაციით, არამედ რევოლუციით, რომელმაც თავის გავლენის ქვეშ მოიქცია ყველანი და ყველაფერი.

**აღვზარდოთ.**

დღეს რევოლუციით სუნთქავს სოფლის კოლმეურნეობის ქუჩა; იქ წარმოებს გაცხოველებული კამათი; ახალგაზრდობა უსმენს მას, უსმენენ კულაკის ბავშებიც.

ზოგიერთი ახალგაზრდა, კულაკის ბავში, ნამდვილ ტრაღედიას განიცდის, დარბის სახლში, უკან რჩება საერთო ხაზს და, ცხადია, არაფრის გაკეთება შეუძლია, არ შეუძლია მოიშოროს თავისი წარმოშობის ლაქა. ასეთ ბავშს ჰგონია, რომ მას რაღაც საშინელი ბედის წერა მოელის.

„მე თვითონ არ ვისურვებდი ვაჭრის შვილობას,— წერს ერთი ბავში,—გაცილებით უკეთესი იქნებოდა მეტად ღარიბი გლეხის შვილი ვყოფილიყავ. მე რამდენჯერმე მითქვამს მამისთვის მიანებე თავი წვრილმან ვაჭრობას და ხელი მოჰკიდე გლეხურ მეურნეობას მეთქი. ბოლოს და ბოლოს მან ეს შეასრულა. ახლა მე არა მყავს მამა. ის რამდენიმე დღეა სადღაც წაიყვანეს, გამოურკვეველია—სად. მე ვიძლევი სიტყვას; რომ, როგორც კი გავიზრდები, უეჭველად „შევიდე პარტიაში და სწორედ და პირნათლად შევასრულო პროლეტარიატის ამოცანები. ვეცდები აგრეთვე გარდავქმნა ბავშები ახალი ყოფა-ცხოვრების საფუძველზე“

ეს ბავში არ გვთხოვს რაიმეს. როგორ შეიცვალა იდეალი! წინად ბავშებს უნდოდათ მეფეებად და მდიდრებად გახდომა, ახლა კი მათ უნდათ გახდენ თვით უღარიბესი გლეხების შვილები, გახდენ კომუნისტები. უნდა დავეხმაროთ ასეთ ბავშებს, სწორ გზაზე გამოვიყვანოთ ისინი. კულაკების ასეთი ბავშების სამი მეოთხედი უკვე გარდაქმნილია ჩვენი სასწავლებლებისა და ცხოვრების მიერ, მათთან მუშაობა შედარებით ადვილია. მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებთანაც საჭიროა დიდი და ხანგრძლივი მუშაობა.

თანამედროვე ცხოვრება ამსხვრევს არა მარტო მოზრდილთა, არამედ მოხუცებულთა ფსიქოლოგიას. იმ მწვავე კლასიურ ბრძოლას, რომელიც ამჟამად წარმოებს სოფლად, თავის საბოლოო მიზნად დასახული აქვს უკლასო საზოგადოება. მოზარდი თაობა უნდა გარდავქმნათ, დავეხმაროთ მას იმაში, რომ სავსებით გამოიბრძმედოს კოლექტივიზაციისა და ფაბრიკის ქვაბში. ახალ თაობას, კულაკის ბავშებს, უნდა დავეხმაროთ იმაში, რომ დაივიწყოს მან წარსული და აქტიურად ჩაებას ახალი ცხოვრების მშენებლობის ფერხულში.

**ნ. კრუპსკაია.**

# კოლექტივი სამუშაოზე

მზე როცა მთების მწვერვალზე ტყდება
და მხურვალებით სხივებს მოგვაფენ",—
მშრომელ გლეხების თენდება დღე და
ჰქმნიან ოფლის ღვრით ახალ ყოფასვე!..

გახედავ: თვალი ვერ სწვდება ველებს.
ველები თუმცა წინადაც იყო,
მაგრამ ახლა სხვას ისმენ სიმღერებს
და სხვაგვარ მიზნის ხალისი გიპყრობს!..

წინად თუ ძალზე ვიყავით უვიცი,
წინად თუ სხვაგვარ შრომას ვახდენდით,
დღეს კოლექტიურ წყობის გულისთვის
დგას ბრიგადებიც რუხი ქარხნების! .

შეერთებული შრომა გუგუნებს.
რა ვუყოთ, აქვე სიძნელეც თუ გვაქვს,—
ბრძოლით დავამტვრევთ მბორკავ ურდულებს,
გავანადგურებთ ბობოლას გულქვას!..

ჯერ კიდევ ვერაგ მტერთა ხროვები
ყოველ ნაბიჯზე გვიგებენ მახეს,
მაგრამ მიზანს რომ ვუახლოვდებით,
ამას ცხოვრება თვით დაგვანახვებს!..

სიხარულს გმატებს, როცა გასცქერი
მამების გვერდით პიონერთ გუნდებს,
და სიველურეს, შრომით გაქელილს,
ტრაქტორი რბენით როცა აბრუნებს!..

ბრძოლას თან ახლავს საქმის სიწმინდე,
გულს რა მოღუნავს ოფლით დატენილს,
დე, სიხარულის ცეცხლი გვიწვიმდეს,
რას დაგვაკლებენ მოღალატენი!..

მზე ჩვეულებრივ არღვევს სითბოს და
გადავუშაეთ გული ნაოშებს,
კოლექტიურმა მღერამ ითოვა
გაწვდილ მინდვრების სამუშაოზე!..

დღეები მოდის ხალისით სავსე,
კუკური უჩანს ხეხილს ბაღშიაც,
და აღტაცება სიხარულს გვასმევს,
რომ კოლექტივის ხმები გახშირდა!..

**შალვა შაველაშვილი**

# ვიბრძოლოთ საწარმოო გეგმების შესრულებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე მეორე წელია, რაც ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა ენერგიულად იბრძვის ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის, პირველ სამეურნეო წელს ჩვენ უდიდესი მიღწევები გვაქვს, როგორც ქალაქის მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის განვითარების სფეროში: წარმოებებში შრომის ნაყოფიერების ზრდა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, თვითღირებულების და წუნდადებული პროდუქციის მნიშვნელოვანად შემცირება, შრომის დისციპლინის საგრძნობლად გაუმჯობესება.

ამგვარად, ჩვენ უდიდესი მიღწევებით შევუდექით მეორე სამეურნეო წლის გეგმათა განხორციელებას. ეჭვს გარეშეა ის გარემოება, რომ მეორე წლის სამეურნეო გეგმას ისეთივე მიღწევებით შევასრულებთ, როგორსაც მივაღწიეთ პირველ სამეურნეო წელს, მაგრამ არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ მეორე სამეურნეო წლის პირველ და მეორე მეოთხედებში (კვარტალში) სამრეწველო-საფინანსო გეგმები ვერ ხორციელდება ისე, როგორც ნავარაუდევი იყო. პირველ მეოთხედში საქართველოს მნიშვნელოვანმა წარმოება-დაწესებულებებმა ვერ შეასრულეს გეგმა. მრეწველობის განვითარებაში მათ აღმოაჩნდათ ხარვეზები (დანაკლისები) პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაში, ხარისხის გაუმჯობესებაში და შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეში. რაც შეეხება წლის მეორე მეოთხედს, აქაც მდგომარეობა არ არის სახარბიელო. ის მდგომარეობა, რომელიც პირველ მეოთხედში იყო, თავს იჩენს მეორე მეოთხედშიც. ისეთმა წარმოებებმა, როგორიცაა ტყავტრესტი, საამშენებლო დარგები, მთავარსახელოსნოების ზოგიერთი საამქრო, აგურის ქარხნები, თამბაქოს ფაბრიკები და სხვა წარმოებები,—ვერ შეასრულეს სამრეწველო-საფინანსო გეგმები მეორე მეოთხედში, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ წარმოებათა უმრავლესობა გამოცხადებულია დამკვრელ წარმოებებად.

იმისათვის, რომ ჩვენ შევძლოთ ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელს შესრულება, საჭიროა წარმოების მუშებმა ენერგიულად იბრძოლონ საკუთარი წარმოების საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის. ამჟამად ჩვენი ამოცანა მასში მდგომარეობს, რომ პირველი მეოთხედის გეგმათა ხარვეზები (დანაკლისები) შევავსოთ მეორე მეოთხედის გეგმათა გადაჭარბებით შესრულებით. ეს ამოცანა სხვა ორგანიზაციათა შორის პიონერთა ორგანიზაციასაც ავალებს აქტიური მონაწილეობას მიღებას გეგმების განხორციელებაში.

### როგორ ვიბრძოლოთ გეგმებისათვის?

არ ივარგებს, რომ თითოეულმა კოლექტივმა ერთგვარი შინაარსის გეგმა შეადგინოს ზემოაღნიშნულ ამოცანათა განხორციელებისათვის: იგი ნაკლებ შედეგს გამოიღებს, რადგან ყოველი წარმოება საგრძნობლად განსხვავდება ერთიმეორისაგან. საწარმოო გეგმათა შესრულებისათვის ამა თუ იმ წარმოებას სულ სხვა საშუალებები აქვს; გეგმათა შეუსრულებლობის მიზეზებიც განსაკუთრებული პირობებია. ამიტომ კოლექტივის საბრძოლო გეგმა იმის მიხედვით უნდა იყოს შედგენილი, თუ რომელ წარმოებაზეა მიმაგრებული ესა თუ ის კოლექტივი. ამისათვის კოლექტივის სამუშაო გეგმა არ უნდა იქნას შედგენილი წარმოების ხასიათის გაუთვალისწინებლად. საჭიროა სანამ კოლექტივი გეგმის შედგენას დაიწყებდეს, კარგად შეისწავლოს წარმოება, გაიგოს, რას ამზადებს და საიდან იღებს ნედლ მასალას წარმოება. ამისათვის პიონერთა კოლექტივი უნდა გაიყოს რამდენიმე ნაწილად, გამომუშავდეს ჯგუფებისათვის ცალკეული კითხვარები, თუ რა უნდა გამოირკვიონ მათ, მოწვეულ იქნას „მსუბუქი კავალერიის“ ჯგუფის სხდომა, შედგენილ იქნას კავალერისტების გეგმა და ასე უნდა დაიწყონ მუშაობა.

კითხვარები შედგენილ უნდა იქნას დაახლოვებით შემდეგი საკითხებისაგან: გაზეთებში აუარებელი მასალა იბეჭდება იმის შესახებ, რომ წარმოების მუშებმა არ იციან საკუთარი საამქროს, ქარხნების გეგმები. უარესი მდგომარეობაა ხუთწლიანი გეგმის ცოდნაში. გეგმების შეუსრულებლობაზე დიდ გავლენას ახდენს ეს გარემოება, ამიტომ კოლექტივის მიერ გამოყოფილმა ჯგუფმა უნდა გამოირკვიოს—რამდენად იციან მუშებმა ქარხნის გეგმები, სწავლობენ თუ არა მას, არის თუ არა შემსწავლელი წრე, როგორ სწავლობენ ახალგაზრდები, კომკავშირელები, პიონერთა მამები და ძმები; თუ არ სწავლობენ—რატომ, ვინ არის ამაში დამნაშავე; გამოირკვა აგრეთვე, რომ სოც. შეჯიბრებაში მასები სრულიად არ არიან ჩაბმული, ამიტომ კოლექტივმა უნდა შეამოწმოს რამდენი მუშა (მათ შორის კომკავშირელი) არ არის ჩაბმული შეჯიბრებაში, თუ არ არიან—რატომ, რა მიზეზით.

წარმოებაში ზოგიერთი კომკავშირელები გულგრილად მუშაობენ, დამკვრელ ბრიგადებში არ შედიან; პიონერებმა აღრიცხვაზე უნდა აიყვანონ ასეთი კომკავშირელები; უნდა გამოირკვეს, როგორ მონაწილეობას იღებენ ინჟენერ-ტექნიკოსები წარმოების ცხოვრებაში, როგორც ეპყრობიან მუშებს, მათ წინადადებებს, როგორ ზრუნავენ წარმოების განვითარებისათვის; უნდა გამოირკვეს საწარმ~ო თათბირების მუშაობა, მუშების და კომკავშირელების მონაწილეობა მასში: წინადადებები, გამოგონება, წუნდებული პროდუქციის და სამუშაო საათების გაცდენის შემთხვევათა შემცირება, წარმოების საკითხების განხილვა მუშათა კრებებზე, მიღწევათა აღრიცხვა, რომ მუშამ ნახოს, /·ა მიღწევები აქვს მათ ენერგიულ მუშაობას; კედლგაზეთების მუშაობა, დამკვრელი ბრიგადების და საამქროების მუშაობის შემოწმება—რამდენად ამართლებენ ისინი სახელწოდებას, და, ბოლოს, უნდა გამოირკვეს, თუ როგორ იბრძვის ახალგაზრდობა დანაკარგების წინააღმდეგ და გამომგონებელ მუშებს ეძლევაჲ თუ არა ჯილდოები, როგორ ტარდება კვარტალური წლიური გეგმები. აი ის საკითხები, რომელიც შეტანილ უნდა იქნას პიონერთა კოლექტივის მიერ გამოსამუშავებელ



პიონერხელმძღვანელთა გადასამზადებელი კურსები ზესტაფონში

კითხვარებში წარმოების შესასწავლად. ამ საკითხების გამორკვევის დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ყველაფერს უცბად არ უნდა მოვკიდოთ ხელი. საჭიროა დაკვრითი წესით გამოვარკვიოთ ჯერ ერთი, შემდეგ მეორე, მესამე და ასე შემდეგ.

პიონერთა კოლექტივმა უნდა მოისმინოს წარმოების ადმინისტრატორის მოხსენება წარმოების გეგმათა მდგომარეობისა და მასში მუშებისა და კომკავშირელების მონაწილეობის შესახებ. მოხსენების საფუძველზე სათანადო ორგანოებთან ერთად უნდა გამომუშავდეს სათანადო პრაქტიკური წინადადებები. მარტო გამოკვლევით არ შეიძლება დაკმაყოფილება. პიონერებმა უნდა იბრძოლონ მათი განხორციელებისათვის. ყოვლად დაუშვებელია ფიქრი იმის შესახებ, რომ „ჩვენ პრაქტიკული წინადადებები მივცეთ და ისინი განახორციელებენ“. ეს ნიშნავს საქმისადმი არასაქმიან დამოკიდებულებას. პიონერებმა უნდა გააკეთონ: 1) სათანადო ლოზუნგები, 2) პლაკატები, 3) დიაგრამები, 4) გაზეთები, რომ მუშებმა შესძლონ პიონერებში დაინახონ იმ ნორჩი ძალების სახე, რომელნიც იბრძვიან სოციალიზმისათვის.

ამავე დროს საჭიროა მშობლების თათბირების მოწვევა წარმოების საკითხების დასამუშავებლად; **ამ მხრივ მეტად კარგი გამოცდილება აქვს ლენრაიონის პიონერთა ორგანიზაციას, რომელმაც მოიწვია მშობელთა კონფერენცია საწარმოო გეგმების საკითხების ირგვლივ. მშობლებმა ხელშეკრულება დასდეს პიონერებთან, რომ ისინი იბრძოლებენ გეგმების განხორციელებისათვის.**

ამგვარ კონფერენციებზე გამოფენილ უნდა იქნას წუნდადებული პროდუქციის ნიმუშები, რომ ჯამი გაუკეთდეს, თუ რა ზარალს იძლევა წელიწადში ასეთი პროდუქცია; კედლის გაზეთების გამოფენა (სადაც სწერია შრომის დისციპლინის დარღვევის და სხვა შემთხვევების შესახებ); ყოველდღიურად და აგრეთვე კონფერენციაზეც პიონერებმა უნდა გაავრცელონ საწარმოო ხასიათის ლიტერატურა, ბიბლიოთეკებში ჩაიბან მუშები და სხვა.

პიონერთა დემონსტრაციებს უდიდესი მიღწევები აქვს. ამიტომ წარმოების შესწავლის შემდეგ საჭიროა მუშაობის დამთავრების წინ პიონერთა დემონსტრაციის მოწყობა; დემონსტრაციამ მუშებში უნდა გამოიწვიოს ენტუზიაზმი საწარმოო გეგმათა შესრულებისათვის. ამავე დემონსტრაციამ მუშებს უნდა აგრძნობინოს და დაანახოს, რომ მუშებმა წარმოება უნდა განავითარონ, ხოლო პიონერები მათ პირობას აძლევენ, რომ სკოლებში იბრძოლებენ სასწავლო გეგმების შესრულებისათვის. უნდა მოეწყოს მფრინავი მიტინგები, ლოზუნგების კოლექტიურად გადმოძახილი, ამისათვის საჭიროა სათანადო ლოზუნგები და პლაკატები.

ლოთობა შრომის დისციპლინის დაცემის, წუნდებული პროდუქციის გამოშვების ერთ-ერთი მიზეზია, ამიტომ ჯამაგირის მიღების დროს უნდა მოეწყოს დემონსტრაცია, ზეგავლენის მოხდენის მიზნით, უნდა მოეწყოს თავდასხმა გამცემლებზე, ზარმაცებზე, უნდა გამოირკვეს — არის თუ არა კომკავშირელი ან დამკვრელი გამცდენი.

პიონერთა „მსუბუქი კავალერია“ უნდა ახდენდეს თავდასხმას საწარმოო თათბირებზე, ადმინისტრაციაზე, საღამოს ცვლებზე, კლუბებზე — იმის გამოსარკვევად, თუ როგორ მუშაობენ ისინი. საფუძვლიანად უნდა გამოირკვეს, რა სამსახურს უწევენ კლუბები მუშებს კულტმდგომარეობის გაუმჯობესებაში.

პიონერებს დიდი საქმის გაკეთება შეუძლია, სამრეწველო-საფინანსო გეგმების შესრულების საქმეში. მაშ ნუ დავაყოვნებთ და ახლავე შევუდგეთ მის განხორციელებას.

**ალ. კოჩლავაშვილი.**

# ყოველი პიონერი მზად უნდა იყოს

## ბოლშევიკური თესვა მოითხოვს ჩვენს დახმარებას

### რის გაკეთება გვაქვს განზრახული თესვის კამპანიაში დახმარება აგრონომებს

ჩვენ აგრონომები და სპეციალისტები ძალიან ცოტა გვყავს. ისინი განსაკუთრებით დატვირთული იქნებიან საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარების დროს.

**პიონერები და მოწაფეები ვალდებული არიან ყოველ აგრონომთან, სპეციალისტთან და თესვის ყოველ ხელმძღვანელ-მომწესრიგებელთან მიამაგრონ თანაშემწე ბრიგადელები გადაუდებელი და სასწრაფო ამოცანების განსახორციელებლად.**

**ეს ბრიგადელები ხელს შეუწყობენ აგრონომებს დროის ეკონომიის მოგვარებასა და მეურნეობის მიერ აგრონომიის დროშის დაცვაში.**

### კოლმეურნეობათა მიწის ფართობი ნაჭრებად უნდა დაიყოს.

საჭიროა განსაზღვრულ იქნეს კოლმეურნეობის მიწის ფართობის საზღვრები. კოლმეურნეობათა მიწის ფართობი და საწარმოო მინდვრები უნდა დაიყოს მარცვლეულისა და სხვადასხვა კულტურის დასათესად, კოლექტიურ ბოსტნებად და სხვ.

საწარმოო სივრცე იყოფა მინდვრებად იმ ვარაუდით, რომ შესაძლო გახდეს ერთიანი კულტურის შემოღება.

კოლმეურნეობა, რომელშიაც გაერთიანებულია რამდენიმე სოფელი (ყოველი სოფელი არა ნაკლებ 400—560 ჰექტარისა), საწარმოო სივრცეს წარმოადგენს.

საწარმოო სივრცის ადგილმდებარეობა ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ შესაძლებელი იქნეს ხელმძღვანელობის გაწევა.

**მუშაობას უნდა ატარებდენ პიონერთა და მოწაფეთა ბრიგადები გამგეობის მიერ გამოყოფილი ხელმძღვანელის თაოსნობით.**

**დავალებათა სისრულეში მოყვანის ვადას განსაზღვრავს კოლმეურნეობის გამგეობა, მაგრამ არა უგვიანეს 10 დღისა თესვის დაწყებამდე.**

### მუშა საქონლის ჯანმრთელობა დაცული უნდა იქნეს

საქონლის მოშენების დარგში მომუშავე ყმაწვილები ყალიბდებიან ბრიგადებში კოლმეურნეობებში გაერთიანებულებისა და ბეითლებისათვის დახმარების აღმოსაჩენად, მუშა-საქონლის მოსამზადებლად, მის გამოსაყენებლად, მისი ჯანმრთელობის დასაცავად.

**მუშა-საქონლის მთელი რაოდენობა განიყოფა მძიმე** (ხვნა-თესვა, ფარცხვა და სხვ.) **და უფრო იოლ** (მკა, მარცვლის გასუფთავება და სხვ.) **სამუშაოთა შესრულების მიხედვით.**



ამხ. დ. კანდელაკის სახელობის კოლექტივი თელავში. გაზეთს ამზადებენ

### მოვამზადოთ მანქანები თესვისათვის

ყოველი კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების წინაშე მთავრობამ დაკვრითი წესით წამოაყენა ამოცანა — სრული 100% დატვირთონ და გამოიყენონ ტრაქტორები, მანქანები და სასოფლო სამეურნეო იარაღები.

პიონერორგანიზაციებმა და სკოლებმა შეფობა უნდა აიღონ ტრაქტორებსა და სასოფლო-სამეურნეო იარაღებზე; ეს მუშაობა უნდა დაევალოს მოზარდთა და სპეციალურ ბრიგადებს.

**ბრიგადელებმა განსაზოგად ებული მანქანების იარაღებისა და ხელსაწყობიდან უნდა შეაგროვონ ვარგისი ნაწილი, რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის. გაცვეთილ და გაფუჭებულ იარაღებს** (კავი, ხისკბილებიანი ფარცხი, ძველის-ძველი სახნის-საკვეთი და სხვ.) **არ ღებულობენ, როგორც უვარგისს.**

**ბრიგადელები ვალდებული არიან თვალყური ადევნონ მანქანებისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღების კარგად შენახვას, გაწმენდასა და მოვლა-პატრონობას. მუშაობის დამთავრების შემდეგ, გატეხის ან გაფუჭება-მოშლის დროს, დაუყოვნებლივ უნდა იქნენ გამოწვეული ხელოსნები სარემონტო სახელოსნოდან.**

**ტექნიკური წრეები, სასკოლო და ჯგუფობრივი სახელოსნოები ვალდებული არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ მოძრავი სარემონტო სახელოსნოების საქმიანობაში.**

### თესლეულის შერჩევა

პიონერთა ჯგუფებმა და სკოლებმა უნდა იკისრონ სათესლე მასალის ხარისხობრივად შერჩევა, მათვე უნდა მიიღონ მონაწილეობა თესლეულის გარჩევა-გასუფთავებაში, უნდა შეაგროვონ კოლმეურნეობის წევრთა შორის ტომრები და იტვირთონ მათი შენახვა თესვის კამპანიის ჩატარების დროს.

**ამ მუშაობის ჩასატარებლად გამოიყოფა ჯგუფი ყმაწვილებისა, რომლებიც იმუშავებენ კოლმეურნეობის წევრთა შორის ჯგუფის პასუხისმგებელი ხელმძღვანელობით, იმ პირობით, რომ აუცილებლად დაცულ იქნეს აგრონომის რჩევა-დარიგების მიღება სათესლე მარცვლეულის შერჩევის დროს.**

### სანიტარული დახმარების აღმოჩენა

მინდვრად მომუშავეებისათვის სანიტარული დახმარება ყოველმხრივად უნდა უზრუნველვყოთ. პიონერი და მოწაფე ქალები ყალიბდებიან სანიტარული რაზმების სახით, მათ თან მიაქვთ დასათეს მინდვრებში მოძრავი აფთიაქი და საჭიროების დროს და ზარალებულს უწევენ პირველ სანიტარულ დახმარებას (შეხვევა და სხვ.)

**უბედური შემთხვევების დროს ისინი ვალდებული არიან გამოუძახონ ექიმებს, დაზარალებულები გადაიყვანონ ჯაგვებით მახლობელ საექიმო პუნქტამდე** (ბანაკი, საავადმყოფო).

### კულტურული მუშაობის წარმოება

პიონერები და მოწაფეები ვალდებული არიან იკისრონ კულტურული მუშაობის წარმოება კოლმეურნეობაში გაერთიანებულ მშრომელთა შორის, დასვენების დროს; ისინი ყოველთვის და ყველგან უნდა გახდენ კულტწამომწყებებად (გაზეთები, რადიო და სხვ.).

**ბავშკორები და კედლის გაზეთების ახალგაზრდა მუშაკები უნდა იყვნენ ხელის შემწყობნი და სულის ჩამდგმელნი თესვის ფრონტის კედლის გაზეთების ჩამოყალიბებაში; მათვე უნდა იკისრონ ამ კედლის გაზეთებში საჭირბოროტო საკითხების გაშუქება, საინტერესო მასალების შეკრება წარმოებული მუშაობის შედეგების შესახებ; მათვე უნდა იკისრონ აგრეთვე მსუბუქი კავალერიის დახმარებით მუშაობის ხუსტი ადგილებისა და ხელისშემშლელი პირების აღმოჩენა.**

**რადიოს მოსმენის შემდეგ ყმაწვილები ვალდებული არიან შეადგინონ და კედლის გაზეთში გასწერონ ცნობები საერთაშორისო და საბჭოთა კავშირის შინაური მდგომარეობის შესახებ და გაზეთი გამოჰფინონ თვალსაჩინო ადგილზე.**

**ამ ცნობებთან ერთად საჭიროა ყმაწვილების მიერ შეკრებილ და გამოქვეყნებულ იქნეს ცნობები ამა თუ იმ ნათეს ფართობზე წარმოებული მუშაობის შესახებ.**

### მოწესრიგდეს კვება

თესვის დღეებში განსაკუთრებული ცხოველი ყურადღება უნდა მიექცეს დათესილ ფართობზე მომუშავეთათვის ყოფა-ცხოვრებითი ხასიათის სამსახურის გაწევას.

**პიონერები და მოწაფეები მოძრავ სამზარეულოს ეხმარებიან ჩაის adუღებაში, სადილის, ვახშმის დამზადებასა და სწრაფად განაწილებაში.**

### გამოყენებულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო გამოცდილებანი

კოლმეურნეობის, საცდელი სადგურებისა და აგრონომების მითითებათა თანახმად კისრულობენ გამოცდილებათა განხორციელებას, როგორიცაა, მაგალითად: ახალი კულტურებისა და დარჩეული სათესლეს გამოცდა, განოყიერება და სხვა.

**ა) ჰყოფენ დათესილ სივრცეს ნაწილებად და ამუშავებენ მას.**

**ბ) ამზადებენ გასანოყიერებელ და სანერგე მასალებს.**

**გ) აწარმოებენ დარგვას არსებული წესდებისა და მითითებათა თანახმად.**

### მიღწეულ იქნეს აგრომინიმუმი

**ჯერ კიდევ განუსაზოგადოებელ სასოფლო-სამეურნეო დარგში** (მებოსტნეობა, მებაღეობა, ფრინველთა მოშენება სხვ.) **პიონერები ცდილობენ მიაღწიონ აგრონომიულ და ზოოლოგიურ მინიმუმს, ეხმარებიან ორგანიზაციას ამ მუშაობის განხორციელებასა და მოსავლის კონტრაქტაციაში.**

გ. კრასნოშჩეკოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახსენი და განმარტე პარტიის პოლიტიკა სოფლად

**როგორ უნდა ვაშენოთ კოლმეურნეობა რა უნდა განვასაზოგადოვოთ?**

ამის პასუხს იძლევა სასოფლო-სამეურნეო ნადის ახალი წესდება.

ახლო წარსულში ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ და აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცეს სასოფლო-სამეურნეო არტელის, ანუ ნადის, ყველაზე უფრო გავრცელებული ახალი წესდება.

თანახმად ამ წესდებისა, ნადის წევრად შეიძლება იყოს ყველა მშრომელი, არა ნაკლებ 16 წლისა.

ნადში არ მიიღებიან კულაკები და საარჩევნო ხმის უფლებას მოკლებულნი.

ნადში არ შეიძლება აგრეთვე მიღებულ იქნენ ისეთი მეურნეობანი, რომლებიც კოლექტივში შესვლის წინ კლავდენ ან ჰყიდდენ თავის საქონელს, ბაზარში გაჰქონდათ გასაყიდად მარცვლეული და სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

**რის განსაზოგადოება ხდება**

კოლმეურნეობაში შესვლის შემდეგ საყანე ადგილებში ისპობა ყოველგვარი საზღვარი, დასამუშავებელი მიწის სივრცე გადადის ნადის კოლექტიურ სარგებლიანობაში.

განსაზოგადოება არ ეხება ეზოებთან მოსაზღვრე მიწის ნაჭრებს, როგორიცაა, მაგალითად, ბოსტანი, ბაღჩა და სხვ.

ნადის კოლექტიურ ხმარებაში გადადის, ე. ი. განსაზოგადოებულ უნდა იქნეს მუშა საქონელი: ცხენი, ხარი და სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო იარაღები. წვრილი სასოფლო-სამეურნეო იარაღები, რომელთა გამოყენება აუ ილებელია და ურომლისოდ შეუძლებელია ბოსტნებსა და ბაღებში მუშაობის წარმოება, არ გადადის ნადის განკარგულებაში და მისი განსაზოგადოება არ ხდება.

თუ კერძო მეურნეობაში არის ორი ან სამი ძროხა, ერთი რჩება გლეხის განკარგულებაში, მისი პირადი სარგებლიანობისთვის, ხოლო დანარჩენი ორი კი გადადის სასოფლო-სამეურნეო ნადის განკარგულებაში და ჩაირიცხება სასაქონლო მეურნეობის რიცხვში. რაც შეეხება წვრილფეხა საქონელს: ცხვარს, ღორს, თხას და შინაურ ფრინველებს, ამათი განსაზოგადოება არ ხდება, ამავე დროს არც საცხოვრებელი ბინები გადადის ნადის განკარგულებაში.

**შესასვლელი გადასახადი**

ნადში შემსვლელი ყოველი წევრი ვალდებულია შეიტანოს ნადის სასარგებლოდ თავისი ქონების 2—10%.

ახლა საკითხავია, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როცა ნადში წევრად შედის მასწავლებელი, აგრონომი, ან მოსამსახურე.

ასეთ შემთხვევებში შესასვლელის რაოდენობას განსაზღვრავს თვით ნადის გამგეობა. მაგრამ ის არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს შემსვლელის წლიური შემოსავლის 10%.

რაც შეეხება ნადში შესვლის მსურველ მოჯამაგირეს, ის იხდის ერთდროულად მხოლოდ 5 მანეთს.

კოლმეურნეობაში გარეშე მომუშავეს, ხელობით მუშას, გარდა ზემოაღნიშნული 10%, შეაქვს კიდევ თავისი წლიური ხელფასის 3%.

განსაზოგადოებული ქონების ნაწილი, მეოთხედიდან ნახევრამდე, გადაირიცხება ნადის განკარგულებაში არსებულ განუყოფელ ფონდში, ხოლო დანარჩენი ნაწილი კი წარმოადგენს საპაიოს.

იმ შემთხვევაში, როცა ნადის წევრი გადის შემადგენლობიდან, მას უბრუნდება და ხელზე ეძლევა საპაიოდ შეტანილი თანხა იმ ნაწილის გამოკლებით, რომელიც შეტანილია ნადის განუყოფელ ფონდში. ნადიდან გასულს, ყოფილ წევრს მიწა არ უბრუნდება. გასვლის შემდეგ ის მიწით კმაყოფილდება თავისუფალი სახელმწიფო ფონდიდან.

**კოლმეურნეობაში გაერთიანებულთა მოვალეობანი**

ნადის წევრები გამგეობასთან ერთად ვალდებული არიან გააფართოონ დათესილი მინდვრების სივრცე, გააუჯობესონ მიწის დამუშავების მეთოდები, დააყენონ სწორედ და სასურველ დონეზე განსაზოგადოებული ნივთების მოვლა-პატრონობა. ამავე დროს უნდა ცდილობდენ კოლმეურნეობის სამეურნეო და სხვა იარაღები გაცილებით უკეთესი იყოს კერძო პირთა სამეურნეო იარაღებზე. მათი მოვალეობაა მოაწყონ კლუბები, სკოლები, სახელოსნოები, საფრინველეები, ნალიები და სხვ. ისინი ვალდებული არიან ამავე დროს მთელი შესაძლებლობით შეუწყონ ხელი ნადის წევრების, განსაკუთრებით კი ქალებისა და ბავშების, კულტურული ყოფა-ცხოვრებითი დონის ამაღლებას.

წესდება ამყარებს წევრთა შორის შრომის ნაყოფიერებისათვის ხელფასის მიღების ერთიან სისტემას კოლმეურნეობაში.

შრომის უნარდაკარგულებს ნადიდან ეძლევათ მატერიალური დახმარება ნადის გამგეობის მიერ დაწესებული ნორმის თანახმად.

წესდებაში გათვალისწინებული მუხლების, წევრთა საერთო კრებისა და გამგეობის მიერ გამოტანილ დადგენილებათა აუსრულებლობის, ნადის ქონებისადმი გულგრილად მოპყრობისა და საერთო წესრიგის დარღვევისათვის დამნაშავე ისჯება გაკიცხვით, ჯარიმით, მუშაობიდან მოხსნით და სხვა, გაუსწორებელნი კი სრულიად გამოირიცხებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტაიგელი[1]

რევიზორმა ქალმა ჩამოიარა, მერის ქერა ხუჭუჭ თმებზე ხელი გადაუსვა.

— თქვენ რას ჩაასობთ? ახ... უცებ ხელი ბორისისკენ გაიშვირა.—შენ საიდან ხარ, ბიჭიკო?

— მე?—დაეკითხა ბორისი.—მე ცივი ტაიგიდან გახლავართ.

მატარებელი გაჩერდა. რევიზორმა ვერაფერის თქმა ვერ მოასწრო და გავიდა. ბორისმა განაგრძო.

— მიშკამ სხვა ქალაქში უკვე გამოსვლა დაიწყო. მისი სისწრაფე მაყურებლებს ხიბლავდა.

მიშკას ტაიგელი დაარქვეს, ჩქარა ყველასათვის ცნობილი გახდა. ის თავისუფლად დადიოდა თოკებზე და ელვის სისწრაფით დაქროდა ცხენზე.

—ბორის,—გააწყვეტინა მერიმ,—მიშკამ დედა დაივიწყა?

— არა, მაგრამ ის ხომ დაშორდა დედას. ცირკი უკანასკნელ სალამოს მართავდა ქალაქ ·-ში.

— ბატონო ოდოლფ, ჩემი ნომერი საშინელია,— უთხრა მიშკამ მწვრთნელს.

— მერე რა, სამაგიეროდ შენი სახელი ტაიგელი დიდი ასოებით იქნება აფიშაზე დაბეჭდილი.

— მე მაინც მეშინია.

მწვრთნელს გაეცინა.

— ივარჯიშე,—უბრძანა მიშკას,—ცირკში მოვარჯიშეებს სიცოცხლე განწირული აქვსთ.

ხალხი სულგანაბული შესცქეროდა, როცა ტაიგელს, ქერში გაბმულ თოკზე დაჩოქილს, კბილით უნდა გამოეხსნა ამავე თოკზე გამობმული ცხვირსახოცი.

ხელები წელზე გაეწყო, ნელ-ნელ დახარა თავი და უცებ ხალხში თვალი შეასწრო ქალს, რომელიც მიშკას დედის განსახიერება იყო. ქალს ხელი მიშკასაკენ გაეშვირა, შიშისაგან სახე დამანჭოდა და თვალები ცრემლებით ავსებოდა.

-- ნუთუ დედაჩემია? ჩემი დედა,—გაიფიქრა მან და დაავიწდა, რომ თოკზე იჯდა. ხელები გაშალა... უცებ წონასწორობა დაკარგა, შეტორტმანდა... ხალხი შეშფოთდა, ცირკის ადმინისტრაცია ფეხზე დადგა...

— დიაღ, ის ჩამოვარდა. რამდენიმე ახალგაზრდა მაყურებელი გადახტა და ლანძღვა დაუწყო ცირკის ადმინისტრაციას, რომელიც ასე დაუდევრად იქცეოდა, ასეთ პატარა მოვარჯიშეებს ქვეშ ბადესაც არ უშლიდა.

— საწყალი მიშკა, ალბათ მოკვდა!

— არა, ის რომ მომკვდარიყო, ახლა ხომ ცოცხალი აღარ იქნებოდა.

— განა ცოცხალია?—წამოიძახა ანდრომ.

— ის ცოცხალია და საბჭოთა სკოლის მოწაფეცაა.

— როგორ მოხდა, გვიამბე.

— იმ ჩამოვარდნამ მიშკას ორივე ფეხი დააკარგვინა. ამის შემდეგ ცირკის ადმინისტრაციამ ის დაითხოვა, როგორც უვარგისი. მიშკა ქუჩის მაწანწალა გახდა. ის მატარებლით ერთი მხარიდან მეორე მხარეში დადიოდა და კეთილი ხალხის შემწეობით ცხოვრობდა.

ზაფხული იყო. მიშკა ერთ ადგურში ჩამოხტა და უგზო-უკვლოდ ხეტიალი დაიწყო. ის მოხვდა იმერეთის ერთ-ერთ სოფელში. გოლუხვი გლეხობის შემწეობით გაუჭირვებლად ცხოვრობდა, ყველას ბაღში შეეძლო ხილის ჭამა. სანოვაგეს ყველა ბავში მისკენ მოარბენინებდა. მიშკას მუდამ ბავშების გუნდი ეხვია, რომლებიც ათას კითხვას აძლევდენ მისი უფეხობის შესახებ. მიშკა მათ მოკლე პასუხით აკმაყოფილებდა.

— სადაური ხან, ბიჭიკო?—შეეკითხა მას ერთხელ ხანში შესული ქალი.

— ტაიგელი,—უპასუხა მიშკამ.

— მერე, ქართული საიდან იცი?

— მამაჩემი ქართველი იყო და იმისგან დედამაც იცოდა.

— ახლა სად არიან ისინი?

— მამა ომში წაიყვანეს, დედა კი დამეკარგა.

— მაშ ჩემთან წამოდი — და ქალმა მიშკა თავისთან წაიყვანა, ყველაფერი დაწვრილებით გამოჰკითხა.

მიშკამ სოფელში ორი თვე დაჰყო, შემდეგ კი ქალმა, რომელიც საბავშო სახლის მასწავლებელი აღმოჩნდა, ის ტფილისში წამოიყვანა. საწყალი მიშკა საბავშო სახლის ეზოში რომ შეიყვანეს, ბავშები მას განცვიფრებით შემოეხვიენ და მას ისე ეჩვენებოდა, რომ მის უფეხობას დასცინოდენ.

მიშა მოაწყვეს სასწავლებელში და მან კარგი ნიჭიც გამოიჩინა. ამის შემდეგ მასწავლებელი პელო მიშკას ნამდვილ დედად გადაიქცა.

— ბორის,—წამოიძახა ანდრომ და ფეხზე წამოდგა.

იქვე მდგომი რევიზორი ქალი ბორისს გაშტერემით მისჩერებოდა.

— ბორის, ეს ამბავი მეეჭვება. ეს შენი თავგადასავალია და არა ვიღაც მიშკასი.

მე კარგად მახსოვს, როცა მასწავლებელმა პელომ მოგიყვანა. ეს 1925 წელს იყო.

ბორისი ჩაფიქრდა.

— მართალია, ეს ჩემი თავგადასავალია.

ბავშები სულგანაბულნი მისჩერებოდენ ბორისის ფეხებს.

— შვილო, მითხარი, შენ ბორისი გქვია?—შეეკითხა ხმის კანკალით რევიზორი ქალი.

— დიაღ, ბორის ქორიძე გახლავართ.

— განა ვერ მიცნობ? — და მან ახლოს მიიწია.

ბორისი ჯოხებს დაეყრნო და აღელვებული რევიზორს დააცქერდა.

ვაგონში მყოფი მგზავრები, რომლებსაც ვერ გაეგოთ საქმის ვითარება, რევიზორი ქალის სახის თითოეული ნაკვთის თრთოლვას თვალს ადევნებდენ.

— დედა!..

— შვილო, ჩემო ბორის! დედა ვარ შენი, დედა! ჩემო ათი წლის დაკარგულო შვილო! — და დედა-შვილი ერთმანეთს გადაეხვია. იქვე მჯდომი სოფლელი ქალი, ამ სურათის მნახველი, ცხარე ცრემლით ტიროდა.

— ბორის, მოგვილოცავს დედის პოვნა! — წამოიძახა ანდრომ.

— მე მომილოცეთ, მე, რომელიც თითოეული საბავშო სახლის ბავშებს ვსინჯავდი, ქუჩის უპატრონო ბავშებს ვათვალიერებდი, მათში ვეძებდი ჩემს შვილს.

ბედნიერი ვარ, რომ უფეხო, მაგრამ ცოცხალი მაინც გიპოვე.

— ხომ სწავლობ?

— მერვე ჯგუფში ვარ.

— ისე რა ხარ? — და დედა უფრო დააშტერდა შვილის სახეს.

— კომკავშირელი.

— ჩემო შვილო, ჩემო ძვირფასო ბორის! მე მსოფლიო ომის, პროლეტარული რევოლუციის ქარცეცხლი უვნებლად გადავიტანე, შენ კი არსებობისთვის ბრძოლამ ფეხები დაგაკარგვინა.

— ასეთია ცირკში მოთამაშეების ხვედრი, — წარმოსთქვა ანდრომ.

— ცირკში ოინბაზობა, თოკებზე სიარული დასაგმობია,—წამოიძახა მიტომ.

—ფართო გზა მხოლოდ ისეთ გასართობებს, რომლებიც ცოდნასა და გამოცდილებას იძლევიან, – დაატანა ბორისმა.

—ცხოვრების სწორედ წარმართვა თქვენი, ახალგაზრდობის, ვალია, -- ჩაერია ლაპარაკში მოხუცი მგზავრი.

**მარო კეჩხუაშვილი.**

---

[1]) დასაწყისი იხ. № 6.

# კოლმეურნეობაში ნებაყოფლობით შედიან

**ძალდატანებისათვის—სასტიკი სასჯელი**

საბჭოთა კავშირში კოლექტივიზაცია უდიდეს და ბრწყინვალე შედეგებამდე აღწევს.

უდიდესი ენერგიითაა ჩატარებული წინასწარი სამზადისი და პარტიის სწორი პოლიტიკის მეოხებით, რომელმაც შემოიკრიბა ღარიბეს და საშუალო გლეხთა ფართე მასები, ჩვენ გვაქვს თვალსაჩინო მიღწევა სოფლის სოციალისტურ ყაიდაზე გარდაქმნის საქმეში.

**მტერი სტყუის**

საზღვარგარეთ და საბჭოთა ქვეყნების შიგნით აშკარად სტყუიან ჩვენი კლასიური მტრები; ისინი ლამობენ ფართედ გაშლილი კოლექტივიზაციის უხეშად დამახინჯებას. ამ უდიდესი მოძრაობის შესახებ ჰქმნიან ათასგვარ არარსებულ ლეგენდას. ისინი ავრცელებენ ჩვენს შესახებ ყალბ ცნობებს, საქვეყნოდ გაჰკივიან იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა კავშირში გლეხებს ძალდატანებით, მუქარით და იძულებით ერეკებოდენ კოლმეურნეობებისაკენ.

ჩვენ ვალდებული ვართ ძირ-ფესვიანად აღმოვფხვრათ მტრის მიერ უხვად დათესილი საზიზღარი ცილისწამება.

ერთხელ და სამუდამოდ კოლმეურნეობას საფუძვლად უნდა დაედვას ნებაყოფლობა.

**ძალმომრეობით არ ერეკებიან კოლმეურნეობებისაკენ**

მშრომელი გლეხკაცობის ფართე მასები თვითამოძრავდენ, მათ ნებაყოფლობით იწყეს მასიური ლტოლვა ახალი ცხოვრებისაკენ ლენინური კომპარტიის მიერ ნაჩვენები და გაკაფული გზით.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ კუთხეში აღმოჩნდენ მოუმწიფებელი და აბეზარი ამხანაგები, რომლებმაც ვერ გაიგეს პარტიის ამოცანები, გადაამლაშეს, გადაამახინჯეს მისი ლოზუნგები და ამით აამხედრეს გლეხობა ხელისუფლებისა და პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ.

ბევრ რაიონში წინასწარი მუშაობის ჩაუტარებლად, სათანადო პირობების მომზადებამდე, ისინი ბრძანებებით და ძალმომრეობით ლამობდენ კოლექტიური მეურნეობის ჩამოყალიბებას. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ კოლმეურნეობისაკენ მოწოდება გლეხობამ გაიგო, როგორც ძალდატანების ერთ-ერთი უხეში ფორმა.

**აბეზარი**

ნოვგრად-ვოლინსკის რაიონში სად. ორესნოზე კოლექტივიზაციასთან დაკავშირებული მუშაობის ჩასატარებლად გამოცხადდა რაიკომის წარმომადგენელი ამხ. კოროლ. გლეხობისათვის კოლმეურნეობის შესახებ არსებული ელემენტარული წესდების ახსნაგანმარტების მიცემამდე მან წინადადება მისცა დამსწრეთ ჩაწერილიყვენ კოლექტივში და ხელისუფლების წარმომადგენლის ავტორიტეტული კილოთი დასძინა: ის პირნი, რომლებიც არ მოისურვებენ კოლექტივში ჩაწერას, კულაკებთან ერთად გადასახლებულნი იქნებიან სოლოვკაშიო.

გლეხობა ჩააფიქრა ამ განცხადებამ. რა თქმა უნდა, მათ ძალიან არ ესიამოვნათ სოლოვკაში გადასახლება. ან როგორ არ უნდა ჩაფიქრებულიყვენ, მაშ რა უნდა ექნათ. დიდხანს იფიქრეს, დიდხანს ბჭობდენ, შემდეგ ზანტად მოიქექეს კეფა და ჩაეწერენ კოლექტივში.

ლიუბარსკისა და სტაროკონსტანტინოვკის რაიონებში ადგილობრივი ხელისუფლების ბრძანების თანახმად განსაზოგადოებულ იქნა გლეხობის მთელი ავლა-დიდება, რომელიც მათ გადანახული ჰქონდათ ზანდუკებში. მთელი ქონება—ტანისამოსი, სხვადასხვა საოჯახო ნივთები—შეტანილ იქნა საერთო საწყობში... 

**ეს ყოვლად უკანონო განაწილება გლეხებში იწვევდა გაუგებრობას კოლექტივიზაციის საქმეში. და რა გასაკვირია, თუ ასეთი „განსაზოგადოების" შემდეგ გლეხობამ პირი იბრუნა და ზურგი შეაქცია კოლმეურნეობას.**

კულაკი კი გულდამშვიდებით და მომღიმარე შესცქერის ყველაფერ ამას, ცალი თვალით უყურებს შექმნილ მდგომარეობას და აშინებს გლეხობას ამ გარემოების კიდევ უფრო გართულებით.

**კულაკის სიხარული ნაადრევია**

კულაკს ახარებს ასეთი „კოლექტივიზაცია", ვინაიდან ის უკმაყოფილებას, შურსა და მტრობს სთესავს ღარიბეს, საშუალო გლეხებსა და მუშათა კლასსა და პარტიას შორის.

მაგრამ პარტია დაუნდობლად ებრძვის ასე ძალმომრეობით ჩამოყალიბებულ კოლექტივიზაციას და მის ხელმძღვანელ აბეზარებს.

დიდი უმრავლესობა გლეხური მეურნეობისა გაერთიანდა კოლექტივში სრულიად ნებაყოფლობით და ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. ამ ნებაყოფლობითი მეთოდების დამცველად გამოდის და გამოვა პარტია ყოველთვის. აშკარაა, აბეზარები, რომლებიც საშინლად ამახინჯებენ პარტიის მიერ აღებულ ხაზს, საკადრის პასუხს მიიღებენ.

აუხსენით ეს გარემოება თქვენს მშობლებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 25 კაპ.

# ყველა პიონერი—თესვაზე

ძველი გაგრისა და აფხაზეთის საბავშო სახლის პიონერებმა კოლმეურნეთა შვილებისთვის პრაქტიკული დახმარების გაწევის მიზნით კოლმეურნეობებში გაგზავნეს სამი ბრიგადა.

კოლმეურნეთა შვილებისათვის საჩუქრები შეგროვილ იქნა პიონერებსა და მოსწავლეებს შორის. მათ ამ მიზნით გამოიწვიეს აგრეთვე სხვა სკოლების მოწაფეებიც. ისინი ცოცხლად გამოეხმაურენ მათ გამოწვევას და ვისაც როგორ შეეძლო, ისე გაუწია დახმარება.

მთელი ამ თანხით შეძენილ იქნა სასწავლო ნივთები: რვეულები, კალმისტარები, ფანქრები და სხვ. წაიღეს აგრეთვე ზოგიერთებმა წიგნები და, საერთოდ, ვის რა შეეძლო.

25 თებერვალს მთელი სამი ბრიგადა გაემგზავრა კოლმეურნეობებში. პირველი ორი ბრიგადა გაემგზავრა ქართულ და სომხურ სოფლებში. პიონერები ჩასვლისთანავე შეუდგენ პრაქტიკულ მუშაობას, კოლმეურნეობებს დაეხმარენ ხვნაში, ფარცხვაში და სხვ. გარდა ამისა, მისულმა პიონერებმა მუშაობაში ჩაითრიეს ადგილობრივი პიონერები და შეუკავშირებელი ბავშები კოლმეურნეობის დასახმარებლად.

მეორე დღეს პიონერებმა ჩაატარეს წერა-კითხვის უცოდინარი ბავშების კრება, რომლებსაც დაწვრილებით გააცვნეს კოლმეურნეობაში ჩამოსვლის მიზანი და უტილნელდეულის შეგროვების აუცილებელი საჭიროება. კრების დამთავრების შემდეგ პიონერები წავიდენ უტილნედლეულლის შესაგროვებლად და შეაგროვეს 400 კილოგრამამდე.

მესამე დღეს პიონერბრიგადამ რამდენიმე საუბარი ჩაატარა სკოლებში და სომხურ სკოლასთან ჩამოაყალიბა პიონერთა ბოსტანი.

მესამე ბრიგადა პილენკოს რაიონში გაემგზავრა. ინახულეს კომუნა „ახალი განთიადი“, ჩასვლისთანავე მოაწყვეს კომუნარების კრება, რომლებსაც გააცვნეს მათი ჩასვლის მიზანი. კომუნასთან ჩამოაყალიბეს პიონერკოლექტივი, რომელსაც კომუნაშივე ალმოუჩინეს ბინა, დაუწერეს პლაკატები, ლოზუნგები, შეადგინეს სამუშაო გეგმა და კომკავშირის უჯრედიდან მიამაგრეს ხელმძღვანელად აქტიური ამხანაგი. ადგილობრივ ამხანაგებთან ერთად გამოუშვეს კედლის გაზეთი, ჩაატარეს კრება, სადაც გლეხებს აუხსნეს ჩასვლის მიზანი და პიონერორგ ნიზაციის ამოცანები. დასასრულ პიონერბრიგადამ მოაწყო სალამო-წარმოდგენა. გლეხობა მეტად კმაყოფილი დარჩა.

**რადიო**

რედაქტორი: სარედაქციო კოლეგია

მთავლიტი № 831 სახელგამის სტამბა, შუა ბაზარი, № 22. შეკვ. 214. ტირ. 2500